პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 49-ე წელი ● № 288 (14284)

12 დეკემბერი, ხუთშაბათი
1968
ფასი 2 კაპ.

ლენინურ შრომითს ვახტზე

დასასრულს უახლოვდება ხუთწლედის მესამე წელი. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების კოლექტივები ცდილობენ მაღალი მიღწევებით შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს. წინასაახალწლო შრომითი ენთუზიაზმი იგრძნობა რედაქციაში მოსულ წერილებსა და პატაკებში. ვბეჭდავთ ზოგიერთ მათგანს.

ვალდებულება გაანაღდეს

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 10 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 8.406 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.330 და ვალდებულებით ნაკისრი 8.000 ტონისა. ეს რედაქციას აცნობა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ბრძოლიშვილმა.



სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

იწყება ხუთწლედის მეოთხე წელი

11 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში მეორე დღეა მუშაობს სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

საბჭოთა ქვეყანა ხუთწლედის მეოთხე წელს იწყებს. სესიის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები დიდად აინტერესებს თვითეულ საბჭოთა ადამიანს. აი რატომ არის, რომ ასეთი მგზნებარე დაინტერესებითა და დიდი პასუხისმგებლობით განიხილავენ დეპუტატები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებას სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დღეს პალატების ცალცალკე სხდომების დღეა.

კავშირის საბჭოში

დილის 10 საათია. უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ კავშირის საბჭოს დეპუტატები. შემოდიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, მ. ს. სოლომენცევი,** რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან.

სხდომას თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი **ბ. ე. პატონი.**

სიტყვა კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამოხსენებისათვის ეძლევა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **პ. ა. როზენკოს.** იგი ამბობს, რომ ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ეკონომიური პოლიტიკის იმ პრინციპების სისწორე, რომლებიც შეიმუშავეს პარტიის XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა. ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმების წარმატებით შესრულება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა მაღალი და მყარი ტემპებით ვითარდება. მომავალ წელს გათვალისწინებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობა.

შეეხო რა ინდუსტრიის მთელი რიგი დარგების მუშაობის ზოგიერთ საკითხს, დეპუტატმა თქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება, უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდეს ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება, გაუმჯობესდეს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი საწარმოო დანაკარგებისა და არასაწარმოო ხარჯების გადაჭრით აღმოფხვრისათვის.

კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიებს ეროვნებათა საბჭოს შესაბამის კომისიებთან შეთანხმებით საჭიროდ მიაჩნიათ ზოგიერთი ცვლილება შეიტანონ სსრ კავშირის 1969 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში. წინადადებაა გავადიდოთ ბამბეულის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა სამი მილიონი მეტრით, წინდისა — სამი მილიონი წყვილით, ხალიჩებისა — 200 ათასი კვადრატული მეტრით, აგრეთვე სახალხო მოხმარების მთელი რიგი სხვა საქონლისა — სულ 108,4 მილიონი მანეთისა საცალო ფასებით. საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებასთან, აგრეთვე ბიუჯეტის შემოსავლის ზოგიერთი გაანგარიშების დაზუსტებასთან დაკავშირებით წინადადებაა გავადიდოთ სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 122,7 მილიონი მანეთით. ამავე დროს კომისიებს შესაძლებლად მიაჩნიათ ასეთივე თანხით გადიდდეს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების გასავალი. ეს დამატებითი სახსრები მოხმარდეს რაიონული ცენტრების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობას, შენობათა შეკეთებას და ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას საავადმყოფოებისათვის, სკოლებისათვის, საბავშვო და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისათვის, მედიკამენტების შეძენას.

დეპუტატმა პ. ა. როზენკომ წინადადება წამოაყენა მოიწონონ მთავრობის მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა, ამასთან გაითვალისწინონ კომისიათა შესწორებანი და წინადადებანი. მისი წინადადებაა აგრეთვე შესწორებათა გათვალისწინებით დაამტკიცონ სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

კამათში პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. შჩერბიცკი.**

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ის, თქვა მან რომ, სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტებით გათვალისწინებულია პრაქტიკული ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უკრაინის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვისათვის.

ვ. ვ. შჩერბიცკი შეეხო უკრაინელი ხალხის წვლილს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და მოიყვანა ამის დამადასტურებელი ციფრები: უკრაინაში სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედის სამ წელიწადში 28 პროცენტით გადიდდა. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში უკვე რეალიზებულია გეგმის გადამეტებით ასობით მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე უკვე გადავიდა 4.500-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. ისინი უშვებენ სამრეწველო პროდუქციის 65 პროცენტს, იძლევიან მოგების დაახლოებით 70 პროცენტს.

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. **სურათზე:** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი საქართველოდან სხდომათა დარბაზში.
(საქდესის ფოტოქრონიკა, სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების 25 წლისთავის გამო

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა ამხანაგებს ლ. სვობოდას, ა. დუბჩეკსა და ო. ჩერნიკს გაუგზავნეს დეპეშა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 25 წლისთავის გამო.

დეპეშაში ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებსა და მათი სახით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობასა და მთელ ჩეხოსლოვაკიელ ხალხს მხურვალედ ულოცავენ და გულწრფელად უსურვებენ წარმატებებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასა და განმტკიცებაში.

ჩვენი ქვეყნის სამოკავშირეო ხელშეკრულებამ, რომელიც იშვა ფაშიზმთან მრისხანე ომის ქარცეცხლში, აღნიშნულია დეპეშაში, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ღონისძიებათა გაერთიანებაში თავიანთი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშისტური გერმანიის განადგურებისათვის ბრძოლაში.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების საფუძველზე დამყარდა ფართო ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა, რომელმაც ეფექტიანად შეუწყო ხელი ომის მიერ დანგრეული ეკონომიკის სწრაფად აღდგენასა და განუხრელ პროგრესს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ყველა დარგში.

დღეს, როცა მსოფლიო იმპერიალიზმის ძალები მიმართავენ ყველაზე ვერაგულ მეთოდებს, რათა შეასუსტონ სოციალისტური თანამეგობრობა და ცდილობენ მთელი ძალებითა და საშუალებებით ერთმანეთს გათიშონ მისი მონაწილენი, რომ ცალცალკე ააცდინონ სოციალისტური განვითარების გზას, ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულებასთან ერთად ეს ხელშეკრულება ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ბარიერია სოციალიზმისადმი მტრული ძალების ხრიკების წინააღმდეგ და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების წარმატებით წინსვლას იმ გზით, რომელიც გაცისკროვნებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით.

აღნიშნავს რა ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების საუკეთესო შვილების სისხლით შედუღაბებული სამოკავშირეო ხელშეკრულების 25 წლისთავს, ხაზგასმულია დეპეშაში, საბჭოთა ხალხი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ეს ხელშეკრულება კვლავაც იქნება მყარი ბაზა ჩვენი ქვეყნების ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, რასაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები და შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ინტერესებს სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

პარტიული მუშაკის ცნობარი

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა „პარტიული მუშაკის ცნობარი“ (მერვე გამოშვება). კრებულში შეტანილია 1967 წლის აპრილიდან 1968 წლის მარტამდე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები, დადგენილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებები, კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი დადგენილება.

ამ დოკუმენტების ნაწილი პირველად გამოქვეყნდა. (საქდესი).

საახალწლო ნობათები

● **თბილისი.** დეკემბერში 5.000 ცალ მაგიდის ორსანთურიან ახალ გაზქურებს გამოვუშვებთ, ისინი საახალწლოდ გაეგზავნება შუა აზიისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქების მშრომელებს, — აცნობა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ქარხანა „გაზაპარატის“ დირექტორმა შ. ჯაფარიძემ. — თერთმეტ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 51 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხანაში მიმდინარეობს ახალი ტექნიკის დანერგვის სამუშაოები, უკვე დავამონტაჟეთ ონკანების დასამუშავებელი ორი აგრეგატი, შენდება კონვეიერული ღუმელები. ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, თითქმის 4-ჯერ გაიზრდება ქარხნის წარმადობა, გაუმჯობესდება აგრეთვე მუშათა შრომის პირობები. ამჟამად ვემზადებით ახალი ტიპის გაზქურების სერიული გამოშვებისათვის. ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის გაანაღდოს.

● **ქუთაისი.** (საკ. კორ.). სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა უკვე შეასრულა წლიური დავალება და მომავალი წლის ანგარიშში გამოუშვა 492 ათასი მანეთის პროდუქცია. წლიური გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 358 ათასი მანეთის ლირებულების ნაწარმი, მიღებულია 203 ათასი მანეთით მეტი მოგება, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული. ტრაქტორმშენებლები, რომლებიც ხუთწლედის დასაწყისიდან ურეკლამაციოდ მუშაობენ, ახალ წლამდე დამატებით კიდევ გამოუშვებენ 230 ათასი მანეთის პროდუქციას.

● **ბათუმი.** (საკ. კორ.). წლის ბოლომდე სამშობლოს წლიური დავალების გადამეტებით მივცემთ 300 ათასი მანეთის პროდუქციას. ამ დევიზით შრომობენ „სამტრესტის“ აქაური ღვინის ქარხნის მშრომელები, რომლებმაც ერთი თვით ადრე გაანაღდეს წლიური გეგმა. ნაცვლად 45 ათასი მანეთისა მიღებულია 90 ათასი მანეთი მოგება, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 10 პროცენტით, ათვისებულია ახალი პროდუქციის — არაყი „სატახტოს“ და მაღალხარისხოვანი საკონიაკე სპირტის გამოშვება.

● **ახალციხე.** (საკ. კორ.). ელექტროძრავის ქარხანამ თერთმეტ თვეში მომხმარებელს გაუგზავნა 6.462 ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავი და გეგმა გადაჭარბებით გაანაღდა. ამავე პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელმა უკვე წლიურ დავალებას გადაამეტა, რაც გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხზე მეტყველებს. ძრავმშენებლებმა მოახდინეს 856 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

● **თელავი.** (საკ. კორ.). 1969 წლის ანგარიშში შრომობს საქმთავარგაზის სამმართველოს № 3 ტრესტის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წელს აქაური მშრომელებისათვის უკვე შემოზიდა 2.200 ტონა „ცისფერი საწვავი“, რაც წლიურ გეგმას დიდად აღემატება. გაზის 20 ათასზე მეტმა კერამ 2.100 ტონა იაფი საწვავი მოიხმარა. ტრესტის კოლექტივის გადაწყვეტილებაა საახალწლოდ 1969 წლის პირველი კვარტალის დავალების შესრულება უპატაკოს სამშობლოს.

ხუთწლედი — ვადამდე!

მრავალწლიანი ნარგავების გაშენების გეგმები შეასრულეს

ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებს გეგმით უნდა გაეშენებინათ 7 ჰექტარი ხეხილის ბაღები, ფაქტიურად გააშენეს 7 ჰექტარზე მეტი. **წალკელებმა** ხეხილის ბაღის გაშენების გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს.

დმანისის რაიონში გაშენებულია 36 ჰექტარი ხეხილის ბაღები ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 17 ჰექტარისა. ვანის რაიონში 70 ჰექტარის ნაცვლად გააშენეს 210 ჰექტარი ხეხილის ბაღები. ხეხილის გაშენების წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს **ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის** რაიონებმა.

თერჯოლის რაიონში ენერგიულად იშრომეს ახალი ვენახების გაშენებისათვის. წლიური გეგმით უნდა გაეშენებინათ 80 ჰექტარი. თერჯოლელმა მევენახეებმა უკვე გააშენეს 113 ჰექტარი. **თეთრი წყაროს** რაიონმა გააშენა 49 ჰექტარი ვენახები, წლიური გეგმა კი 40 ჰექტარს ითვალისწინებდა. წარმატებას მიაღწიეს ვანის რაიონის მევენახეებმა. მათ გააშენეს 80 ჰექტარი ახალი ვენახები, ანუ გეგმის 100 პროცენტი. ვენახის გაშენების დავალება გადაჭარბებით შესრულდა ამბროლაურის რაიონში.

წელს **ლანჩხუთის** რაიონის მეციტრუსეებს უნდა გაეშენებინათ 90 ჰექტარი ციტრუსები. ფაქტიურად გააშენეს 100 ჰექტარი — გეგმა 111,1 პროცენტით შეასრულეს.

ახალ წარმატებას მიაღწიეს **აჭარის** მეციტრუსეებმა. მათ გეგმით გათვალისწინებული 177 ჰექტარის ნაცვლად გააშენეს 178 ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავები.

ბევრგან კარგად მიმდინარეობს დაფნის პლანტაციების გაშენების სამუშაოები. **წულუკიძის** რაიონში გაშენდა 15 ჰექტარი დაფნა (გეგმის 100 პროცენტი). თერჯოლელებმა დაფნის გაშენების გეგმა 120 პროცენტით შეასრულეს, **ჩოხატაურელებმა** — 180 პროცენტით, ხოლო **ზესტაფონელებმა** — 100 პროცენტით.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით გაცისკროვნებული გზა

საბჭოთა კავშირ — ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 25 წლისთავი

მოსკოვი

11 დეკემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 25 წლისთავს.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ მოძმე ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შუა ჩეხეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს იან პილერს და დელეგაციას, რომელსაც იგი მეთაურობს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს მილოშ იაკეშს, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციას სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, კავშირის სლოვაკეთის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის იოზეფ კრიჟის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩს საბჭოთა კავშირში ვლადიმერ კოუცკისა და სხვა ჩეხოსლოვაკიელ ამხანაგებს.

სტუმრებთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ **ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ვ. ვ. გრიშინი, ვ. ვ. შჩერბიცკი, კ. თ. კატუშევი, მ. ს. სოლომენცევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ა. ლესეჩკო,** სსრ კავშირის მინისტრები და სსრ კავშირის კომიტეტების თავმჯდომარეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ვ. გრიშინმა.** მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **კ. ტ. მაზუროვმა.**

შემდეგ გამოვიდა სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის სლოვაკეთის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **იოზეფ კრიჟი.**

კ. ტ. მაზუროვისა და იოზეფ კრიჟის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

* * *

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართა აგრეთვე კიევში, უჟგოროდში, თბილისში, ფრუნზესა და სხვა ქალაქებში. (საქდესი).

თბილისი

11 დეკემბერს თბილისში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელისმოწერის 25 წლისთავს.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების აქტივისტები.

საღამო გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. ჩოფიკაშვილმა.**

მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან განვლილ წლებში, ჩეხოსლოვაკიის შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ხალხმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

მოხსენება ღირსშესანიშნავი თარიღის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა **ა. კელენჯერიძემ.** მომხსენებელმა დაასახელა დამაჯერებელი ფაქტები და ციფრები, რომლებიც ასახავენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას. საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, რწმენას გამოთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურღვევი პრინციპები, კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

მოძმე ქვეყნების მშრომელებს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის განვითარებაში შემდგომი წარმატებანი უსურვეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **თ. მრევლიშვილმა,** კამვოლ-მაუდის კომბინატის მუშამ **თ. ბურდულმა,** უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა **ც. გოზზეთელიანმა.**

საღამოს მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს პრაღაში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, ამ კავშირის სლოვაკეთის კომიტეტს ბრატისლავაში და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის სიახლენი

სლოვაკიის ქიმია

სლოვაკიაში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ძველად ამ ჩამორჩენილ ნაწილში, სოციალისტური მშენებლობის წლებში შეიქმნა ისეთი მსხვილი ქიმიური საწარმოები, როგორიც არის კომბინატი „სლოვნაფტი“ ბრატისლავაში, ქიმიური სასუქების, ხელოვნური ბოჭკოს, პლასტმასის, ცელულოზისა და ქაღალდის, საწვავის, სარეცხი საშუალებების წარმოების ქარხნები სტრაჟის შალში, ნიტრაჟში, შამარინში, შტუროვში. შეიქმნა სლოვაკიისათვის მრეწველობის ახალი დარგები.

სლოვაკიის ქიმიის განვითარებაში წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირმა თავისი გამოცდილებით, მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემით, ნედლეულის, ნავთობისა და გაზის მიწოდებით. მაგალითად, შარშან ჩეხოსლოვაკიამ სსრ კავშირიდან მიიღო დაახლოებით 7,5 მილიონი ტონა ნავთობი, 1970 წელს ნავთობის მიწოდება 10 მილიონ ტონამდე გაიზრდება.

მომავალში გათვალისწინებულია ეკონომიურად რენტაბელური ქიმიური წარმოების გაფართოება. 1980 წელს ქიმიური პროდუქციის მთლიანი მოცულობა სლოვაკიაში გაიზრდება 3-4-ჯერ ახლანდელ დონესთან შედარებით.

ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი

ვიტკოვიცის მეტალურგიულ კომბინატში ცდიან მილსაგლინავი ქარხნების ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოების ხაზს. ამ ხაზის საწარმოო ოპერაციათა უმრავლესობა ავტომატიზებულია. ეს და მომდევნო რვა ხაზი განკუთვნილია საბჭოთა კავშირისათვის.

ვიტკოვიცის მეტალურგიული კომბინატი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო საწარმოა. იგი ყოველწლიურად უშვებს 1,5 მილიონ ტონა ტექნიკურად მაღალხარისხოვან პროდუქციას. კომბინატის ყველაზე დიდი დამკვეთია საბჭოთა კავშირი, რომელსაც კომბინატი აწვდის მთელი თავისი პროდუქციის 80 პროცენტს.

„იავის“ ახალი მოდელი

მიმდინარე წელს ქალაქ ვლტავის ტინეცის მოტოციკლების ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვა „იავის“ მარკის 85 ათასი მოტოციკლი. მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციისა, ამ პოპულარული მარკის მოტოციკლებზე დიდი მოთხოვნილებაა. მთელი გამოშვებული მანქანების 85 პროცენტი საზღვარგარეთ იგზავნება.

საწარმოს კოლექტივი დაუღალავად შრომობს თავისი ნაწარმის შემდგომ სრულყოფაზე. ამას წინათ აითვისეს უნიფიცირებული ტიპის მოტოციკლების წარმოება. წლის ბოლოსათვის ვლტავის ტინეცის ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვა ახალი ნიმუშის პირველი ორი ათასი მანქანა.

* * *

სურათზე: პრაღა. ვაცლავის მოედანი.

ფოტო ი. სომოვისა.
(ახალი ამბების სააგენტო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

იწყება ხუთწლედის მეოთხე წელი

(დასასრული)

უკრაინამ გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის შესყიდვის ხუთწლედის სამი წლის სახელმწიფო გეგმები. წელს მიღებულია შაქრის ჭარხლის ყველაზე უხვი მოსავალი უკრაინაში მეჭარხლეობის მთელი ისტორიის მანძილზე. ეს წარმატებანი, განაცხადა ორატორმა, მომავალი წლის გეგმის შესრულების კარგი საფუძველი იქნება.

მოსკოველები იყვნენ ინიციატორები იმისა, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ვადამდე შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა.

ეს შეახსენა სესიის მონაწილეებს მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. თ. პრომისლოვმა.** მოსკოვის მრეწველობა, რომელიც ფართოდ ნერგავს ეკონომიურ რეფორმას, გამართულად მუშაობს. გაანგარიშება მოწმობს, რომ პროდუქციის გამოშვების მიღწეული ტემპები ნაკისრ ვალდებულებათა აუცილებლად შესრულების საიმედო გარანტიაა.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დიდი ყურადღება დაუთმო ქალაქის მრეწველობისა და მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხებს. მან წინადადება შეიტანა დაამტკიცონ ამ გეგმების პროექტები, შეიტანონ მათში საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების შესწორებანი.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა **კ. გ. პისინმა** ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ეჭიბრებიან რესპუბლიკის მშრომელები ერთმანეთს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. თავის სიტყვაში მან მთავარი ყურადღება დაუთმო ბუნების დაცვის პრობლემებს. რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე დათესილი და დარგულია ოთხ მილიონამდე ჰექტარი ტყე, 95 ათასი ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლი, შექმნილია ბევრი სახელმწიფო ნაკრძალი.

მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, განაცხადა დეპუტატმა, იმ ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი არასწორი დამოკიდებულების შემაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც გათვალისწინებულია სამრეწველო სადინარებისა და გაჭუჭყიანებული ჰაერის გაწმენდისათვის. ამ მიზნით გამოყოფილ სახსრებს ცუდად იყენებენ ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობის სამინისტროები. ახალ საწარმოებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა. ზოგიერთი სატყეო მეურნეობა არ ეწევა ტყის აღდგენას ნაკაფებში, თუმცა ამ სამუშაობისათვის მნიშვნელოვანი სახსრებია გამოყოფილი.

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ტ. ი. კისელიოვმა** თქვა, თუ რა წარმატებები აქვს რესპუბლიკას, რომელიც 1969 წლის 1 იანვარს აღნიშნავს თავის 50 წლისთავსა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. მან თქვა, რომ დასახულია მომავალ წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში გაიზარდოს 8,1 პროცენტით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის 1968 წლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, განაცხადა შემდეგ ორატორმა, საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლის წარმოება, დიდი მასშტაბებით შევასრულოთ სამელიორაციო სამუშაოები, გავაუმჯობესოთ ამოშრობილი მიწების გამოყენება.

კიდევ უფრო ამაღლდება ხალხის ცხოვრების დონე, ეროვნული შემოსავალი დაახლოებით 8 პროცენტით გაიზრდება.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დეპუტატმა **გ. ა. მელნიკმა** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდნენ და კვლავაც ხმარობენ იმისათვის, რომ ყაზახეთს დაეხმარონ ხალხის სამსახურში ჩააყენოს რესპუბლიკის უმდიდრესი ბუნებრივი სიმდიდრენი. 1967 წელს ყაზახეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 14,6-ჯერ. რესპუბლიკა გახდა ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის მსხვილი ბაზა. სწრაფად ვითარდება ახალი სამრეწველო რაიონები, ისეთი, როგორიცაა პავლოდარ-ეკიბასტუზის, კუსტანაის და სხვა რაიონები.

დარბაზი ტაშით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ პავლოდარის სატრაქტორო ქარხნის — რესპუბლიკის ტრაქტორმშენებლობის პირმშოს მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ასობით მუხლუხა ტრაქტორი.

დეპუტატმა წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტული საკითხები, რომლებიც უკავშირდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შემდგომ პერსპექტივებს. ორატორს მიზანშეწონილად მიაჩნია აგრეთვე რესპუბლიკაში შეიქმნას სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილება.

— ყოველი დღე გვაახლოებს ვ. ი. ლენინის დაბადების სახელოვან 100 წლისთავთან, — თქვა კურგანის ოლქის შატროვსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „როსიის" თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ი. სოჩნევმა.** ლენინის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებისათვის. აქ, კრემლში, ვლადიმერ ილიას-ძემ მოიწონა კომუნა „სკნემვარის" წესდება, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენს კოლმეურნეობას. კომუნის სახელწოდება შედგენილი იყო მისი ორგანიზატორების გვარების ასოებისაგან, იგი კოლექტიური შრომის შუქურა გახდა. 1919 წელს კომუნარების მიერ ანთებული ეს შუქურა ნათელ ჩირაღდნად აგიზგიზდა. ახლა კოლმეურნეობა „როსია" მსხვილი მეურნეობაა. მის დროშაზე ციმციმებს ლენინის ორდენი — კომუნართა შთამომავლობის შრომითი მამაცობის სიმბოლო.

შეეხო რა მიღწევებს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში, გლეხთა ცხოვრებაში მომხდარ შესანიშნავ ცვლილებებს, დეპუტატმა გამოთქვა მთელი რიგი წინადადებანი. მისი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა კურგანში გახსნილიყო სამარცვლე მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც იმუშავებდა ახალი ჯიშების გამოყვანაზე, შეიმუშავებდა რეკომენდაციებს იმერურალის მარცვლის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები: სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი **ვ. პ. ზოტოვი,** უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **რ. ყურბანოვი,** ორენბურგის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ნ. ბალანდინი.**

ამით კავშირის საბჭოს დღევანდელი სხდომა დამთავრდა.

ეროვნებათა საბჭოში

დღის 3 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ა. ნ. კოსიგინს, ა. ნ. შელეპინს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ბ. ნ. პონომარიოვს.**

სხდომას თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ვ. ე. ლობანოკი.**

ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამოხსენება გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **კ. მ. გერასიმოვმა.**

დიდი ოქტომბრის 51 წლისთავი, თქვა მან, საბჭოთა ხალხმა აღნიშნა ახალი მიღწევებით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. გადიდდა ფოლადის გამოდნობა, ნავთობის, ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება. ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე უმაღლეს დონეს მიაღწევს მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია. მიმდინარე წელს ბევრ მუშასა და მოსამსახურეს გაუდიდდა ხელფასი, გაუმჯობესდა მშრომელთა პენსიით უზრუნველყოფა, განხორციელდა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

გაანალიზა რა ინდუსტრიის ცალკეული დარგების მუშაობა, კ. მ. გერასიმოვმა აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი რეზერვია ახალი ტექნიკის, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვა, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განხორციელება, სპეციალიზაციის ფართო განვითარება. ხუთწლედის სამი წლის მანძილზე შესრულდა დიდი მოცულობის მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომელთა შედეგებს პრაქტიკულად იყენებენ სახალხო მეურნეობაში. ამასთან ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებანი ყოველწლიურად მთლიანად ვერ სრულდება.

მთელ რიგ სამინისტროებში ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებული მთელი მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების დამთავრება და მათი მაქსიმალური გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

შარშან, განაცხადა ორატორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა აღნიშნეს, რომ წლის მანძილზე არათანაბრად აყენებენ მწყობრში ახალ საწარმოო სიმძლავრეებს და წინადადება წამოაყენეს შემოიღონ წესი, რომლის თანახმად ძირითადი ფონდების ამოქმედება უნდა იგეგმებოდეს უფრო თანაბრად. ეს რეკომენდაცია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გათვალისწინებული.

ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და შესაძლებლად მიიჩნიეს შეიტანონ ზოგიერთი შესწორებანი, თქვა კ. მ. გერასიმოვმა. მისი წინადადებაა, მოიწონონ ეს გეგმა, ამასთან გაითვალისწინონ შესწორებანი. კომისიებმა შესაძლებლად მიიჩნიეს აგრეთვე სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი გაზარდონ 122,7 მილიონი მანეთით და წინადადება წამოაყენეს ამ შესწორებათა გათვალისწინებით დაამტკიცონ ქვეყნის ბიუჯეტი.

ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. ბეისებაევმა** განაცხადა, რომ რესპუბლიკაში მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადაყვანილია 989 საწარმო, რომლებიც უშვებენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 72 პროცენტზე მეტს. ამ საწარმოთა საქმიანობა გვიჩვენებს, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა ხელს უწყობს რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის პირველი სამი წლის დავალებანი სახელმწიფოსათვის პურის, ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის დარგში. ყაზახეთში მიმდინარეობს დიდი კაპიტალური მშენებლობა, მას ყოველდღიურად ხმარდება ათ მილიონ მანეთზე მეტი.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი დეპუტატმა მიუძღვნა სასოფლო მშენებლობის საკითხებს. მან განაცხადა, რომ საჭიროა სოფლადაც ფართოდ ინერგებოდეს სამუშაოთა წარმოების ინდუსტრიული მეთოდები. ამ საქმეში რესპუბლიკას უნდა დაეხმარონ ცენტრალური ორგანიზაციები და უწყებები. ორატორმა აღნიშნა, რომ საჭირო და მიზანშეწონილია 1970 წელს დაიწყოს ირტიშ-ყარაგანდის არხის მეორე რიგის მშენებლობა. არხის მეორე რიგის ამუშავება საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ ჯეზკაზგანის საჭიროებანი და გავაძლიეროთ ცენტრალური ყაზახეთის დაახლოებით თორმეტი მილიონი ჰექტარი საძოვრები. უკრაინის დედაქალაქის დღევანდელ დღეზე და შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე ილაპარაკა სესიის ტრიბუნიდან პარტიის კიევის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ა. პ. ბოტვინმა.** იგი დაწვრილებით შეეხო სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. მისი აზრით, ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართვის სისტემების შემუშავებასა და დანერგვას და მშენებლობაში საინფორმაციო-გამომთვლელი ცენტრების შექმნას.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **მ. ა. ისკენდეროვმა** დიდი ყურადღება დაუთმო კასპიის ზღვის პრობლემას. ამ უნიკალური წყალსატევის ექსპლოატაციის რეჟიმი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, [illegible] უნდა იყოს. წლითიწლობით კასპიის ზღვა ინტენსიურად ჭუჭყიანდება სამრეწველო საწარმოთა ჩამდინარე წყლებით. მას სერიოზულ საფრთხეს უქმნის სწრაფი გათავთხელება, თევზის რეწვის მკვეთრად შემცირება. სპეციალისტთა აზრით, თქვა ორატორმა, აქ საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს მეთევზეობისა და სამელიორაციო სამუშაოები.

29 მილიონ ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გეგმის დამატებით გადაზიდეს მიმდინარე წელს ქვეყნის რკინიგზელებმა. ეს განაცხადა სესიაზე გზათა მინისტრმა დეპუტატმა **ბ. პ. ბეშჩევმა.** მინისტრმა ილაპარაკა იმ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება რკინიგზის ტრანსპორტის ეფექტიანობის ამაღლებისა და უკეთ გამოყენებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში, თქვა უზბეკეთის კომპარტიის ყარაყალფაყეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **კ. კამალოვმა,** განუხრელად ვითარდება ყარაყალფაყეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა. სოფლის მშრომელები ჩაებნენ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის მანძილზე გეგმის გადამეტებით აწარმოონ 270 ათასი ტონა ბამბა, რაც ერთწლიურ გეგმას აღემატება, მომავალ წელს ბრინჯის წარმოება გაზარდონ 50 ათას ტონამდე, მისცენ სამშობლოს მეტი ბოსტნეული, ხილი, ყურძენი.

რესპუბლიკაში უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სარწყავი წყლით მიწის უზრუნველყოფა, ორატორი შეეხო ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაზე დამოკიდებულია ამ საკითხის გადაჭრა.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები: ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის კოლმეურნეობა „იანგორჩინოს" თავმჯდომარე **ვ. ი. რომანოვი,** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი **ბ. თ. ბრატჩენკო,** მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. თ. ილიაშენკო,** ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **კ. კ. კაირისი,** სკკპ უფის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ზ. შაკიროვი,** ჩრდილოეთის რკინიგზის სადგურ მიკუნის საორთქმავლო დეპოს თბომავლის მემანქანე **ე. მ. ალექსეევი.**

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს დღევანდელი სხდომა.

12 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

სხდომებს შორის შესვენებისას ერთმანეთს შეხვდნენ მეგობრები — ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მეშახტეები — სოციალისტური შრომის გმირები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. კირილიუკი (დონეცკის ოლქი, ქ. მაკეევკა), ი. სტრელჩენკო (ქ. დონეცკი), მ. ტელიტჩენკო (დონეცკის ოლქი, ქ. შახტიორსკი), ვ. სტებლიანკო (დონეცკის ოლქი, ქ. ტორეზი), ვ. მოზგოვოი (დონეცკის ოლქი, ქ. გორლოვკა) და საქართველოს სსრ ქ. ტყიბულის მეშახტე ო. ბრეგაძე.

ფოტო მ. სკურიხინისა და ა. უსტინოვისა. („პრავდა").

სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო სახალხო საქმეა

10 დეკემბერს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. სოფლის პროფკავშირის წარმომადგენლებმა გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა სოფლის მშრომელებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა დაუსახა — კიდევ უფრო გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ქვეყანაში ამჟამად არის დაახლოებით 13 ათასი საბჭოთა მეურნეობა, რომლებშიც მუშაობს 8,5 მილიონი პროფკავშირის წევრი. კოლმეურნეობათა პროფკავშირული ორგანიზაციები აერთიანებენ სამ მილიონ კაცს. ეს დიდი ძალაა. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სოფლის თვითეულ მშრომელს აქტიური მონაწილეობა უნდა მიაღებინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობის საქმეში.

მიღებულ დადგენილებაში პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი სოფლად პროფკავშირული მუშაობის გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

(საკდესი).

მსოფლიო ერთ წელიწადში

გამოვიდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის წელიწდეულის მორიგი, მეთორმეტე გამოშვება. წიგნი იხსნება სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ე. ა. ფურცევას სტატიით „საბჭოთა კულტურის ნახევარი საუკუნე", რომელშიც განხილულია საბჭოთა სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯებიდან დღემდე. როგორც ყოველთვის, წელიწდეული შეიცავს საფუძვლიან სტატიებს, რომლებიც აშუქებენ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების და ყველა [illegible] სახელმწიფოს ცხოვრებაში. (საკდესი).

ანგარიშება — არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით

გვირაბმშენებელთა II პარტიულ კონფერენციაზე

◆

მეტროპოლიტენი თბილისელებს თავიანთ ფრთაშესხმულ ოცნებად მიაჩნიათ. და სავსებით კანონიერადაც. ბევრი დიდი ქალაქის მცხოვრებნი ნატრობენ ამ ყველაზე საიმედო, მოხერხებულ და იაფ ტრანსპორტს. მაგრამ ყველამ როდი იცის, რა დიდ ენერგიას ახმარს თბილგვირაბმშენის მრავალრიცხოვანი კოლექტივი მეტროს მშენებლობას. იგი წლითიწლობით გადამეტებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, ვადამდე გადასცემს საექსპლოატაციოდ სამშენებლო ობიექტებს. ამ კოლექტივს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის უკანასკნელ რვა კვარტალში რვაჯერ მიეკუთვნა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მეტრომშენებლებმა წელს ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების დიადი თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად. მარტო 1.500-ზე მეტი კაცი კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მონაწილეობს. 8 ობიექტს, უბანს, საამქროსა და 54 ბრიგადას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი; ბევრი სამშენებლო უბანი და მოწინავე ადამიანი კი იბრძვის ამ საპატიო სახელის მოსაპოვებლად. მაღალმა საწარმოო და პოლიტიკურმა აქტივობამ საშუალება მისცა გვირაბმშენებლებს 5 დეკემბრისათვის შეესრულებინათ ხუთწლედის მესამე წლის დავალება.

ყველა საქმეში, დიდსა და მცირეში, იგრძნობა პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ავანგარდული, მაორგანიზებელი როლი. მეტროპოლიტენისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაზე მომუშავე კომუნისტები, რომელთა რიცხვი 450-ს აღემატება, მაღალ პასუხისმგებლობას გრძნობენ საქმის მდგომარეობისათვის, მაგალითს აძლევენ უპარტიო მასებს, შეურიგებელნი არიან ნაკლოვანებებისადმი, ეძებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალ გზებს. ფართოდ არის ცნობილი კომუნისტების — სოციალისტური შრომის გმირების — გ. ობოლაძისა და ვ. ლიუბავსკის; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. დათაშვილის, აგრეთვე ბევრი მოწინავე მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შრომითი საქმეები, ორგანიზატორული უნარი.

გვირაბმშენებელი კომუნისტები მეორე პარტიულ კონფერენციაზე მოვიდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით აიღონ ხუთწლედის ახალი ზღუდეები.

მომხსენებლის — თბილგვირაბმშენის პარტიული კომიტეტის მდივნის გ. ჩიგოგიძისა და კომუნისტთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებით ღრმა დაინტერესება. და ეს გასაგებიც არის, რადგან ეკონომიკა პარტკომის, სამეურნეო ერთეულთა პარტორგანიზაციების მოღვაწეობის მთავარი უბანია. ამასთან ისინი ადმინისტრაციის საქმიანობას კი არ ეწევიან, არამედ მათთან ერთად ცოცხალი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით რაზმავენ კოლექტივს მის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად.

მიზანსწრაფულ მუშაობას ეწევიან № 212 და № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლების, № 5 სავგირაბო რაზმის პარტიული ორგანიზაციები. ისინი წარმატებით წყვეტენ მშენებლობის აქტუალურ საკითხებს, დღითიდღე აუმჯობესებენ აღმზრდელობით მუშაობას.

პარტიულ კომიტეტს, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკას და სამშენებლო ობიექტების დაქსაქსულობას, პარტიული მუშაობის ცენტრი ძირეულ რგოლებში — უშუალოდ სამეურნეო ერთეულთა პირველადს პარტორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებში გადააქვს. თუ წლინახევრის წინათ თბილგვირაბმშენის პარტიულ ორგანიზაციებში 4 პარტიული ჯგუფი იყო, ამჟამად მათი რიცხვი 28-ს შეადგენს. ახლა საკითხების დიდ ნაწილს უშუალოდ წყვეტენ პარტიული ჯგუფები, რომლებიც ნამდვილ მებრძოლ უჯრედებს წარმოადგენენ. პარტკომი, პირველადი პარტორგანიზაციები ზრუნავენ პარტიული ჯგუფების მუშაობის სწორად წარმართვისა, მათი პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

— თბილგვირაბმშენის პარტიული ორგანიზაცია, — აღნიშნა მომხსენებელმა, — საანგარიშო პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდა საწესდებო მოთხოვნათა შესრულებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. ეს საკითხი რამდენჯერმე იქნა განხილული პარტიული კომიტეტის სხდომებზე და სამეურნეო ერთეულთა პარტორგანიზაციების კრებებზე. პრაქტიკაში დამკვიდრდა პარტკომის სხდომებზე, პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების კრებებზე ცალკეულ კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა მათ მიერ სკპ წესდების მოთხოვნათა შესრულების შესახებ. ვისმენთ რეკომენდატორთა ანგარიშებსაც; ვნერგავთ აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მეტრომშენებელთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ზოგიერთ სხვა გამოცდილებას. პარტიულ კრებებზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა მოსკოველი მეფოლადის პ. აბაშკინის წერილმა „კომუნისტი თავის ორგანიზაციაში".

პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია პარტიის რიგების მოწინავე ადამიანებით ზრდა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა. საანგარიშო პერიოდში სკპ წევრად და კანდიდატად მიღებულ იქნა წარმოების 45 მოწინავე. მათი დიდი უმრავლესობა პირნათლად ასრულებს პარტიის საწესდებო მოთხოვნებს. ამას ხელს უწყობს ის დიდი ყურადღება, რასაც პარტიული კომიტეტი იჩენს ახალგაზრდა კომუნისტთა პრაქტიკული წრთობისა და თეორიული მომზადებისათვის.

პარტორგანიზაციები სულ უფრო ფართოდ იყენებენ იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს. მიმდინარე სასწავლო წელს გაიზარდა წრეების, სემინარებისა და მათში გაერთიანებულ მსმენელთა რაოდენობა. 12 წრეში, 3 სემინარსა და 5 საკონსულტაციო ჯგუფში 345 კომუნისტი მეცადინეობს. ამაღლდა ლექციური პროპაგანდის დონე. წელს წაკითხულია 150-ზე მეტი ლექცია და მოხსენება, რომლებსაც 10 ათასი კაცი დაესწრო.

მაგრამ კომუნისტებს თვითდამშვიდება არ სჩვევიათ. ამიტომ ისინი ლაპარაკობდნენ გადაუჭრელ საკითხებზე, სახავდნენ პერსპექტივას. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტკომს, სამეურნეო ერთეულთა პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ მუშაობაში ნაკლოვანებებიც აქვთ. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ დგას კომუნისტთა ავანგარდული როლი. ნაკლოვანებებია იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში. სწორედ ამით აიხსნება შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმი სააგიტაციო მუშაობაში. სათანადო ყურადღება არ ექცევა თეორიული კონფერენციების, დისპუტების, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობას და სხვა ღონისძიებებს.

თბილგვირაბმშენის პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის სათანადო ზომებს როდი იღებენ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლას. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ნაკლებია ზრუნვა მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ადგილი აქვს კადრების დენადობას.

მე-5 სავგირაბო რაზმის უფროსმა ა. ყურაშვილმა, რომელმაც კონფერენციის დელეგატებიდან პირველმა ითხოვა სიტყვა, თქვა: — ზოგიერთი შახტი და სამშენებლო ობიექტი ჩამორჩა სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის № 7 და № 10 შახტებზე, სადაც მუშაობს ჩვენი პარტორგანიზაციის წევრთა ძირითადი მასა. ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ პარტბიურო ჯერ კიდევ ცოტას მუშაობს კომუნისტებთან, საკმაო ყურადღებას არ აქცევს მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას. ინდივიდუალური მიდგომა, შეხამებული მაღალ მომთხოვნელობასა და ამხანაგურ მხარდაჭერასთან, — აი საშუალება, რომლითაც უნდა წარვმართოთ თვითეული კომუნისტის მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად.

კომუნისტთა აქტივობის ამაღლებაზე გაამახვილა აგრეთვე ყურადღება თავის გამოსვლაში რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის პარტბიუროს მდივანმა თ. კარაპეტიანმა. — პრაქტიკამ გვიჩვენა, — თქვა მან, — რომ პარტიულ დავალებათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული მათ სწორად განაწილებაზე.

გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. დათაშვილმა ილაპარაკა პარტკომის, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოს მუშაობის ზოგიერთ საკითხზე. დასასრულ იგი შეეხო მეტროპოლიტენის ახალი ტრასების მშენებლობის საკითხის გადაწყვეტის დიდ მნიშვნელობას.

— ეს, — თქვა მან, — საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ მეტრომშენებელთა ძველი კადრები, ამავე დროს მეტი მზრუნველობით უნდა მოვეკიდოთ მუშათა კლასის ახალ ცვლას, ყოველდღიურად ვიზრუნოთ მათზე, დავეხმაროთ სამშენებლო საქმის დაუფლებაში.

მეტრომშენებელთა მომავლის გეგმებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა ვ. გოცირიძემ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ვ. გრიგალაშვილი.

მიღებულ დადგენილებაში კომუნისტებმა გაითვალისწინეს ის ახალი გაზრდილი ამოცანები, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე დგას მეტრომშენებელთა კოლექტივის წინაშე.

გ. ზუკაკიშვილი.

სკოლა და ცხოვრება

◆

კანტორას შეკედლებული

ამ რამდენიმე წლის წინათ, 1963 წლის პირველ სექტემბერს ჩოჩხათელმა მოსწავლეებმაც გაიხარეს — მათ განკარგულებაში გადაეცა საშუალო სკოლის 3-სართულიანი შენობა. მაშინ ეს შენობა ლანჩხუთის რაიონში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, როგორც თანამედროვე სტილით, ისე თავისი კაბინეტ-ლაბორატორიებით. ერთი სიტყვით, ეს იყო ძვირფასი საჩუქარი, რომელიც ჩოჩხათის სასოფლო საბჭოში შემავალი ოთხი სასოფლო-სამეურნეო არტელის — გულიანის, ხორეთ-მოედნის, შრომისუბნის, ჩოჩხათის კოლმეურნეობათა მშრომელებმა აგეს თავიანთი შვილებისათვის.

სკოლის აგება, მისი კეთილმოწყობა 100.000 მანეთზე მეტი დაუჯდათ კოლმეურნეებს. მაგრამ ეს ამაგი ალალად ჩათვალეს, და მოსწავლეებთან ერთად მათაც იზეიმეს სკოლის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

სამწუხაროდ, 1965 წლის დეკემბერში მოხდა ყველასათვის გულდასაწყვეტი ფაქტი — სკოლას ხანძარი გაუჩნდა, ცეცხლმა მწყობრიდან გამოიყვანა ეს დიდებული შენობა — დაიწვა შენობის ხის მასალის ნაკეთობანი. ამის შესახებ აქტებიც შედგა, ბევრი დაიწერა, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სკოლის შენობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღდგენილიყო. ჩოჩხათელებმა ყველაფერი გააკეთეს სკოლის მუშაობის გაგრძელებისათვის, სკოლას დაუთმეს კოლმეურნეობის კანტორის შენობა. გამონახეს ფულადი სახსრები შენობის აღდგენისა და წესრიგში მოყვანისათვის.

პირველ ხანებში სწრაფი ტემპით დაიწყო შენობის აღდგენის სამუშაოები — გამოცვალეს სახურავი, სართულებს შორის დაიწყეს რკინაბეტონის დაგება და სხვ. გადაწყვეტილი იყო და ყველა მოელოდა, რომ შენობა მწყობრში ჩადგებოდა არაუგვიანეს 1966 წლის სექტემბრისა. მაგრამ ამაოდ. აქ მოხდა კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი. მშენებლებმა (ლანჩხუთის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭო), უფრო სწორად ვითომშენებლებმა, სრულიად უხარისხოდ დააგეს სართულებს შორის რკინაბეტონის იატაკი, რის გამო გასული წლის აგვისტოში იატაკი ჩამოინგრა და კინაღამ უბედურება მოხდა — ექვსმა მუშამ წამით გაასწრო შენობიდან, თორემ ნანგრევებში მოჰყვებოდნენ!

ჩამონგრევა რომ მაშინ მომხდარიყო, როცა საკლასო ოთახები, აუდიტორიები მოსწავლეებით იქნებოდა გაჭედილი, ვინ აგებდა პასუხს ამ დიდი დანაშაულისათვის, რასაც მრავალი მსხვერპლი მოჰყვებოდა?!..

აღსანიშნავია, რომ წინა წელს შესრულებულ რკინაბეტონის სამუშაოებს ამჟამად ანგრევენ და ახალს აწყობენ! ყოველივე ამაზე დიდი თანხები იხარჯება. მერე და ვინ იხდის, ვინ ზარალობს ამას? კოლმეურნეობები!

საკვირველი ის არის, რომ როგორც ჩოჩხათის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა დაგვიდასტურეს, სკოლის შენობისათვის ხანძრით მიყენებული ზარალი (სათანადო აქტით გაფორმებული) თითქოს არ აღემატებოდა 17 ათას მანეთს. ეს რომ ფიქციურია, იქიდანაც ჩანს, რომ შენობის აღდგენისათვის დღემდე დახარჯულია 40 ათას მანეთზე მეტი! (ეს თანხა გადაიხადეს აქაურმა კოლმეურნეობებმა). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სკოლის აღდგენის, მისი საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის ჯერ საქმის 30 პროცენტიც არ არის გაკეთებული! ჩოჩხათელები სავსებით სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს, მათი სამდურავი მშენებლებისადმი სწორია — ყოველ წლობით ათეულ ათას მანეთს ურიცხავენ, მშენებლობას კი ბოლო არ უჩანს.

ამჟამად სკოლის მშენებლობაზე 4-5 მუშა თუ მუშაობს და ისინიც შემთხვევიდან შემთხვევამდე. ერთი სიტყვით, ამ ტემპით ჩოჩხათის საშუალო სკოლის შენობის აღდგენას 3-4 წელი მაინც დასჭირდება.

ჩოჩხათის საშუალო სკოლაში 270-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. მართალია, მათ დაუთმეს კოლმეურნეობის კანტორის შენობა, მაგრამ აქ არ არის ნორმალური პირობები სწავლისათვის, არა აქვთ გათბობა, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები, ეზო-მიდამო. ამავე შენობაშია კოლმეურნეობის გამგეობა, სასოფლო საბჭოს აღმასკომი, ფოსტა, აფთიაქი და სოფლის სხვა დაწესებულებები, რომლებიც მოკლებული არიან ნორმალური მუშაობის პირობებს. ეს კომენტარს არც საჭიროებს.

ჩოჩხათის საშუალო სკოლის შენობის აღდგენის სამუშაოთა ასე დანაშაულებრივად გაჭიანურება, მშენებელთა კუს ნაბიჯი მოსწავლეებთან ერთად მშრომელთა დიდ გულისწყრომასაც იწვევს!

როდის დაირეკება ჩოჩხათის საშუალო სკოლის განახლებულ შენობაში „ზარი"? ბოლოსდაბოლოს ვინ უნდა გასცეს პასუხი ამ კითხვაზე?

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ВОЕННЫЕ МЕМУАРЫ
К. К. Рокоссовский
СОЛДАТСКИЙ ДОЛГ

მხედართმთავრის თვალით

არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო

◆

არის წიგნები, რომლებიც ნათელ, კარგ ფიქრებს ბადებენ. სწორედ ასეთი წიგნია ნიჭიერი საბჭოთა მხედართმთავრისა და შესანიშნავი ადამიანის საბჭოთა კავშირის მარშალ კ. კ. როკოსოვსკის მოგონებანი „ჯარისკაცის ვალი“.[1]

წიგნი მოგვითხრობს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ მძაფრი ბრძოლების შესახებ, რომლებშიც ავტორი უაღრესად უშუალო მონაწილეობას იღებდა ომის პირველივე დღიდან. როკოსოვსკი გულისტკივილით წერს მწარე უკანდახევის შესახებ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე განუწყვეტელ ბრძოლებსა და შეტაკებებში, ლაპარაკობს ჯარების იარცევოს ჯგუფის თავდადებულ მოქმედებაზე, მე-16 არმიის ბრძოლებზე, ძნელ უკანდახევაზე მოსკოვის მისადგომებისაკენ, იმაზე, თუ როგორ ეწეოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას დედაქალაქის კედლებთან, როგორ აბრუნებინეს პირი მტერს და განდევნეს იგი დასავლეთისაკენ. შემდეგ იგი გვიამბობს სტალინგრადზე, კურსკთან მოწინააღმდეგის განადგურებაზე, ომის ძირეულ გარდატეხაზე საბჭოთა არმიის სასარგებლოდ. მკითხველი წიგნში ნახავს იმის მკაფიო აღწერას, თუ როგორ სწრაფად სდევნიან მტერს ჩვენი არმიები, როგორ გადადიან ისინი დნეპრს, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებენ დამპყრობლებს ბელორუსიაში, იბრძვიან ვარშავისათვის, აღმოსავლეთ პრუსიაში, პომერანიაში და ბერლინის მისადგომებზე. დიდი სამამულო ომის ისტორიის ეს სახელოვანი ფურცლები პირდაპირ დაკავშირებულია კ. კ. როკოსოვსკის სახელთან, რომელმაც ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები ელბასთან გაიყვანა. სახელგანთქმულ საბჭოთა მხედართმთავარს ძალიან ბევრი რამ უნახავს, განუცდია და ბევრ რამეზე უფიქრია. მან გამოსცადა დამარცხებათა სიმწარე და გამარჯვებათა სიხარული და ძალიან უნარიანად, დიდი თავმდაბლობითა და ტაქტით გვიამბო ეს თავის მოგონებებში.

ადვილი როდია ყველა იმ აზრის ანალიზი, რომლებიც ამ წიგნშია ჩაქსოვილი. ეს არც არის საჭირო. მასში უნდა იფიქრო, ერთმანეთს დაუკავშირო ამბები და გაიაზრო ავტორის მიერ გამოთქმული შენიშვნები. ვინაიდან მთლიანად ისინი შეადგენენ დიდმნიშვნელოვან სამხედრო საკითხებზე კონსტანტინე კონსტანტინეს-ძის შეხედულებათა მწყობრ სისტემას.

კონკრეტულ მაგალითებსა და ფაქტებზე დაყრდნობით კ. კ. როკოსოვსკი საკადრის პასუხს აძლევს წიგნებისა და კინოსურათების ზოგიერთ ავტორებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში გაზვიადებულად აღწერდნენ ჩვენი ჯარების უკანდახევისა და გარემოცვიდან იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების გამოსვლის ეპიზოდებს, რომლებიც ტყეებში იმალებოდნენ. აი მათ საწინააღმდეგოდ რას წერს კ. კ. როკოსოვსკი:

„როდესაც შეიტყეს, რომ იარცევოს რაიონში და მდინარე ვოპის მარჯვენა ნაპირზე იმყოფებიან ნაწილები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ გერმანელებს, ადამიანებმა უკვე თვითონ მოგვაშურეს. მოდიოდნენ მთელი ქვეგანაყოფები ანდა ჯგუფები მეთაურთა შემადგენლობიანად. მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია დავადასტურო ეს, როგორც ამბების მნახველმა და მონაწილემ“. და შემდეგ განაგრძობს: „ჰიტლერელებმა ვერ შეძლეს გავენადგურებინეთ, თუმცა ძალიან ცდილობდნენ ამას. მტერმა შეძლო მხოლოდ ადგილი ეცვლევინებინა ხოლმე ჩვენი ჯარებისათვის, ამასთან დიდი ზარალი მოსდიოდა“.

წიგნის ფურცლები სმოლენსკის, შემდეგ კი მოსკოვის მიმართულებით მძიმე თავდაცვის დღეების შესახებ მკითხველს მტკიცედ ამახსოვრდება, აღელვებს მას როგორც დოკუმენტი, რომელშიც აისახა ელვისებური ომის ჰიტლერული გეგმების ჩაფუშვა და მის მსვლელობაში შემობრუნება. ეს შემობრუნება ბევრს ნამდვილ სასწაულად მიაჩნდა. როკოსოვსკი გვიჩვენებს ასეთი სასწაულის შინაგან ძალასა და მიზეზს — საბჭოთა მეომრებს, რომლებმაც მტრის შემოტევას გაუძლეს და შეტევაზე გადასვლა იწყეს. მოსკოვის დამცველნი მარტონი როდი იყვნენ. მათ მთელი ჩვენი ქვეყანა ეხმარებოდა. თავისი მაგალითების ლოგიკით ავტორს მკითხველი მიჰყავს ღრმა დასკვნებამდე დიდი ლენინის ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი საბჭოთა წყობილების ძალისა და უძლეველობის შესახებ.

წიგნში შესამჩნევი ადგილი სამართლიანად უჭირავს მოგონებებს, რომლებიც სარდლის შემოქმედებითს მუშაობას ეხება. წიგნს მკითხველი თითქოს შეჰყავს მხედართმთავრის ლაბორატორიაში, სადაც იგი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ოპერაციის გეგმაზე, მის მომზადებასა და უზრუნველყოფაზე მთელი შემდგომი მუშაობის საფუძველს შეადგენს. წიგნში ნაამბობია, როგორ ყალიბდება ოპერაციის ჩანაფიქრი, როგორ განისაზღვრება ჯარების ძირითადი ღონისძიებათა მიმართულება ან მათი გამოყენების რაიონი, ისახება ძალებისა და საშუალებების დაჯგუფება, წყდება ყველა დანარჩენი საჭირო საკითხები.

ზოგიერთი სხვა ავტორისაგან განსხვავებით კ. კ. როკოსოვსკის არ ავიწყდება ამასთან გვიამბოს შტაბებისა და მათი უფროსების შესახებ. ომის განმავლობაში მას მუშაობა მოუხდა შტაბის ოთხ უფროსთან: ა. გ. მასლოვთან, ს. პ. ტარასოვთან, მ. ს. მალინინთან, ა. ნ. ბოგოლიუბოვთან, და თვითეული მათგანისათვის პოულობს გულთბილ სიტყვას.

კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე მუდამ მუშაობდა ეგრეთწოდებულ „შტაბ-ბინაში“, სადაც თავს იყრიდა არმიისა და ფრონტის ყველა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი. აქ ისმენდნენ მოხსენებებს, შეჰქონდათ წინადადებანი და სარდალი იღებდა გადაწყვეტილებებს.

წიგნში უაღრესად ფართოდ ნაჩვენებია სარდლის მუშაობა კურსკის რკალზე ცენტრალური ფრონტის თავდაცვითი ოპერაციისა და შემდგომი კონტრშეტევის გეგმებზე („ციტადელის“ კრახი“), ბელორუსიაში გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების ოპერაციის გეგმებზე („ორივე დარტყმა მთავარია“, „განადგურება“). მიმართავს რა უკანასკნელ ოპერაციას, ავტორი აამჟღავნებს, თუ რა გავლენა ჰქონდა ვითარების კონკრეტულ პირობებს ბობრუისკის მიმართულებით შეტევის შესახებ გადაწყვეტილების შემუშავებაზე, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თავისებურ ადგილმდებარეობას. სარდალმა მაშინ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და შეძლო მთავარბანაკის წინაშე დაეცვა თავისი განზრახვა. ამ განზრახვაში დიდი ორიგინალობით გამოირჩეოდა კ. კ. როკოსოვსკის მოსაზრებანი, რომ საჭირო იყო ერთი (1-ლი ბელორუსიის) ფრონტის შემადგენლობაში გაერთიანებულიყვნენ ჯარები, რომლებიც მოქმედებდნენ პოლესიეს ფართო ტყიან-ჭაობიანი მასივით გაყოფილ ბობრუისკისა და ლიუბლინის მიმართულებებით. ამ მოსაზრებებს მთავარბანაკიც დაეთანხმა; თუმცა უარყო სარდლის წინადადება ერთდროულად წარმოებულიყო შეტევა ფრონტის ფლანგებზე, რადგანაც ძალები საკმარისი არ იყო.

გადაწყვეტილების გამომუშავებაზე სარდლის შემოქმედებითი მუშაობის პროცესის შესახებ ლაპარაკია არა მარტო მოცემულ ოპერაციებთან დაკავშირებით. მკითხველი ეცნობა ბევრ სხვა მაგალითსაც, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა, ისეთებს, როგორიც არის: შეტევა აღმოსავლეთ პრუსიაში, აღმოსავლეთ პომერანიაში, ბერლინის ჩრდილოეთით. ყველა ეს ოპერაცია გამოირჩეოდა ჩანაფიქრის სიმტკიცით, მოქმედების გეგმის სიცხადით, რაღაც განსაკუთრებული სილამაზით, რაც ახასიათებდა სახელდობრ იმ ოპერაციებს, რომლებსაც კ. კ. როკოსოვსკი ახორციელებდა.

კ. კ. როკოსოვსკის მოგონებები ნამდვილი ადამიანურობით ხასიათდება. რა ოპერაციასაც უნდა შეხებოდა, მას არასოდეს არ ავიწყდებოდა გულთბილად მოეხსენიებინა თავისი მებრძოლი ამხანაგები — საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. ავტორი იცნობს მათს საჭიროებებს, ინტერესებსა და ფიქრებს, ყოველნაირად ზრუნავს მათთვის. ძალიან დამახასიათებელია მისი შემდეგი შენიშვნა, რაც გაკეთებულია თავში „გერმანიის ფარგლებისაკენ“, რომელშიც მოგვითხრობს იმ ამბებზე, როცა ომი უკვე მტრის ტერიტორიაზე წარმოებდა. საბჭოთა მეომრების უდიდესი უმრავლესობა მაშინ უკვე ბრძოლებში ნამყოფი იყო. ეს იყვნენ ადამიანები, რომლებსაც, როგორც იტყვიან, „თოფისწამლის სუნი ეყნოსათ“, ნაომარნი, ძნელ ლაშქრობებს მიჩვეულნი იყვნენ. ახლა მათ ერთი მისწრაფება ჰქონდათ — რაც შეიძლება მალე მოეღოთ ბოლო მტრისათვის. „მათ ვერც სიძნელე აშინებდა, ვერც საფრთხე. მაგრამ ჩვენ ხომ მოვალენი ვიყავით გვეფიქრა, როგორ გავფრთხილებოდით ამ შესანიშნავ ადამიანებს. გულსატკენი და მწარეა ჯარისკაცების დაკარგვა ომის დასაწყისში. მაგრამ სამგზის უფრო გულსატკენი და მწარეა მათი დაკარგვა გამარჯვების წინ, იმ გმირების დაკარგვა, რომლებმაც საშინელი განსაცდელი გაიარეს, ათასობით კილომეტრი განვლეს ცეცხლში, სამწელიწადნახევარს საფრთხეში აყენებდნენ თავიანთ სიცოცხლეს, რომ თავიანთი ხელით მოეპოვებინათ მშვიდობა სამშობლო ქვეყნისათვის... მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მიეცათ კატეგორიული განაწესი: ამოცანის შესრულებისათვის მიეღწიათ მინიმალური დანაკლისით, გაფრთხილებოდნენ თვითეულ ადამიანს!“

ამა თუ იმ ოპერაციას რომ არჩევს, კ. კ. როკოსოვსკი თავის მოგონებებში არაერთგზის ეხება უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის, მთავარბანაკისა და პირადად უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მუშაობის საკითხებს. იგი ლაპარაკობს უმაღლესი მთავარსარდლობის საქმიანობის უდიდეს მასშტაბსა და სირთულეზე. იგი არ ყოყოჩობს იმით, რომ მის ხელმძღვანელობაში მყოფი ჯარები ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, ბელორუსიის ბრძოლაში, სტრატეგიული ოპერაციის მთავარ ამოცანას ასრულებდნენ. იგი არ ცდილობს გადაწყვიტოს ხელმძღვანელობის საკითხები მთავარბანაკის ან გენერალური შტაბის „მაგიერ“. იგი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ავტორთაგან, რომლებიც ჭეროვანს უზღავენ მთავარბანაკის ხელმძღვანელობას და გენერალური შტაბის სასარგებლო საქმიანობას. ამასთან ერთად კ. კ. როკოსოვსკი ფრიად მართებულად, დიდი პირდაპირობით, ტაქტითა და საქმის ცოდნით სამართლიანად აკრიტიკებს ცალკეულ გადაწყვეტილებებს, რასაც იღებდნენ მთავარბანაკი, გენერალური შტაბი და სარდლები, რომლებისადმი დაქვემდებარებულიც იგი იყო.

მოგონებათა ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავარბანაკი ყოველთვის ინფორმირებული იყო ფრონტის სარდლის აზრის შესახებ და ანგარიშს უწევდა მას, ვინაიდან იგი უკეთ, ვიდრე ბევრი სხვა, იცნობდა ვითარებას თავის უბანზე. ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ მთავარბანაკი ყველა შემთხვევაში ეთანხმებოდა მის წინადადებებს. ზოგჯერ უმაღლესი მოსაზრებანი უკარნახებდნენ მთავარბანაკს სხვა გადაწყვეტილებას. მაგალითად, ასე მოხდა სტალინგრადთან, როცა მთავარბანაკმა დაუღლელი მე-2 გვარდიული არმია გადასცა არა დონის ფრონტს, როგორც თავდაპირველად იყო ნავარაუდევი, არამედ სტალინგრადის ფრონტს, რომლის უბანზეც წარმოიშვა რეალური საფრთხე, რომ მანშტაინის ჯარები გაიჭრებოდნენ პაულიუსის გარშემორტყმულ ჯარებთან. კ. კ. როკოსოვსკი მაშინ დაჟინებით იცავდა პირველ გადაწყვეტას და უგულებელყოფდა უდიდეს რისკს, რომელიც ამასთან იქმნებოდა. მაგრამ მთავარბანაკი მას არ დაეთანხმა და უბრძანა ახლადმოსული არმია გადაეცა სტალინგრადის ფრონტის შემადგენლობაში. მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა კურსკის რკალზე თავდაცვითი ბრძოლის პერიოდშიც, სადაც მთავარბანაკის რეზერვი — 27-ე არმია გადაეცა ვორონეჟის ფრონტს ნაცვლად ცენტრალური ფრონტისა.

თუმცაღა ავტორი აცხადებს, არასოდეს არ მომხდარა, რომ სარდლისათვის ყურადღებით არ მოესმინათ ან, რაც კიდევ უარესია, მისთვის პირში ბურთი ჩაეჩარათ. სარდალს შეეძლო ყოველთვის სრული მოცულობით მოეყვანა საბუთები, რათა დაეცვა თავისი მოსაზრებანი, მაგალითად, ოპერაციის ჩატარების ვადების შესახებ. და მთავარბანაკი აკმაყოფილებდა ფრონტის სარდლის მოთხოვნებს, თუ ამას ვითარება ამართლებდა.

წიგნში გულთბილად არის მოთხრობილი მთავარბანაკის წარმომადგენლებზე, რომლებთან ერთადაც მუშაობა უხდებოდა ავტორს. ესენი იყვნენ ამხანაგები გ. კ. ჟუკოვი, ა. მ. ვასილევსკი, ნ. ნ. ვორონოვი, ა. ა. ნოვიკოვი, ა. ე. გოლოვანოვი და სხვები. კ. კ. როკოსოვსკი ამასთან ერთად არ ამცირებს, როგორც ამას ზოგიერთი სამხედრო მწერალი აკეთებს, გენერალური შტაბისა და მთავარბანაკის როლს ომის ხელმძღვანელობის საქმეში, საქმის არსის ღრმა გაგებით განუმარტავს მკითხველს მიზეზებს, თუ სახელდობრ რატომ მოითხოვდა მთავარბანაკი ამა თუ იმ ამოცანის შესრულებას. მაგალითად, ავტორი მკაფიოდ გვიჩვენებს, რატომ იყო აუცილებელი სტალინგრადთან გარშემორტყმული მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფების ლიკვიდაციის დაჩქარება, რასაც მთავარბანაკი განსაკუთრებით მტკიცედ მოითხოვდა, ვინაიდან საჭირო იყო რაც შეიძლება მალე გაგვეთავისუფლებინა აქ დაბანდებული ძალები ჩვენთვის მაშინ შექმნილ ხელსაყრელ სტრატეგიულ ვითარებაში სხვა უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად.

წიგნში შესამჩნევი ადგილი აქვს დათმობილი უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მუშაობის მეთოდების დახასიათებას, რომელსაც ავტორი არაერთგზის ხვდებოდა და ყოველდღიურად უკავშირდებოდა ტელეფონით. „არ შემიძლია, — წერს იგი, — დუმილით ავუარო გვერდი იმას, რომ სტალინს შეეძლო საჭირო მომენტებში გულთბილობითა და ყურადღებით მოეხიბლა თანამოსაუბრე და დიდხნით დასამახსოვრებელი გაეხადა ყოველი შეხვედრა მასთან“.

უნდა აღვნიშნო, რომ ი. ბ. სტალინი თავის მხრივ მაღალ შეფასებას აძლევდა კ. კ. როკოსოვსკის მხედართმთავრულ ნიჭსა და პირად თვისებებს. ამის დამადასტურებელია თუნდაც შემდეგი ფაქტები. შეიძლება ითქვას, ფრონტების სარდალთაგან არავინ არ დანიშნულა მთავარბანაკის წარმომადგენლად ისე, რომ ამავე დროს ფრონტის სარდლადაც დარჩენილიყო. მთავარბანაკი კ. კ. როკოსოვსკის გზავნიდა ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე ჩვენთვის ყველაზე მძიმე დროს — იარცევოსთან, ვიაზმასთან, სუხინიჩისთან, სტალინგრადთან. განა ეს მხედართმთავრის საქმიანობის მაღალი შეფასების მაჩვენებელი არ არის!

ოპერაციების შემუშავებისას უმაღლესი მთავარსარდალი მიმართავდა საუბრებს ფრონტების სარდლებთან. „ჩვენთვის, — ეს ჩემი მაგალითით ვიცი, — ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“, — ამბობს კ. კ. როკოსოვსკი. ფრონტების სარდლები მთავარბანაკში იბარებდნენ სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად და შესათანხმებლად, მოგონებებში გადმოცემულია, მაგალითად, ზოგიერთი საინტერესო და ფართო მკითხველისათვის უცნობი ფაქტები ბელორუსიის ოპერაციის მომზადების ისტორიიდან. კერძოდ, მოთხრობილია, თუ რატომ დაიბადა ის განზრახვა, რომ განეხორციელებინათ ბობრუისკთან 1-ლი ბელორუსიის ფრონტის ორი, თანაბარი მნიშვნელობის დარტყმა, და არა ერთი, როგორც მაშინ იყო მიღებული. ი. ბ. სტალინი დიდი სიფრთხილით მოეკიდა ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის ესოდენ უჩვეულო წესს, მაგრამ კი არ უარყო, არამედ მხარი დაუჭირა მას. სარდლის მტკიცე რწმენაში, რომელიც თავის ამ ჩანაფიქრს იცავდა, მან გამოიცნო, რომ შეტევის ორგანიზაცია გულდასმით იყო მოფიქრებული. წიგნის ავტორი მრავალგზის აღნიშნავს მთავარბანაკის წინასწარხედვას, მომავალი ოპერაციების დაგეგმვის დროულ ხასიათს, ოპერატიულ-სტრატეგიულ განგარიშებათა სიზუსტეს.

წიგნში შესამჩნევი ადგილი აქვს დათმობილი მოგონებებს საბჭოთა ჯარებისა და მოძმე პოლონეთის არმიის საბრძოლო მოქმედებაზე ვარშავის რაიონში.

ცნობილია, რომ სახალხო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის არაკეთილმოსურნენი ცდილობდნენ და დღემდე ცდილობენ უკუღმართად გააშუქონ საბჭოთა კავშირის პოზიცია პოლონელი ხალხის ისტორიაში, ესოდენ გმირული და ამავე დროს წარმოუდგენლად ტრაგიკული მოვლენის მიმართ, როგორიც იყო ვარშავის აჯანყება 1944 წლის აგვისტო-სექტემბერში. ისინი ცდილობენ საბჭოთა სარდლობას დააკისრონ პასუხისმგებლობა სისხლის მორევისათვის, რომელშიც ქალაქის ასეულ ათასობით მცხოვრები დაიღუპა, ამტკიცებენ, საბჭოთა სარდლობა აჯანყებულთ განზრახ არ დაეხმარაო. კ. კ. როკოსოვსკის, რომელიც იმ დროს ვარშავის მიმართულებით მოქმედი ფრონტის სარდალი იყო, ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებია ამ ბოროტგანზრახულ მტკიცებათაგან. და ამ მხრივ მისი მემუარები უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. „2 აგვისტოს, — წერს იგი, — ჩვენმა დაზვერვის ორგანოებმა მიიღეს მონაცემები, რომ ვარშავაში თითქოს დაიწყო აჯანყება გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ. ამ ცნობამ ძლიერ შეგვაშფოთა.. გულახდილად რომ ვთქვათ, აჯანყების დაწყებისათვის ყველაზე ცუდი ხომ სწორედ ის დრო იყო, როცა იგი დაიწყო. აჯანყების ხელმძღვანელებმა თითქოს განზრახ აირჩიეს დრო, რომ დამარცხებულიყვნენ...“. იგი აშუქებს ოპერატიულ ვითარებას, საბჭოთა ჯარებისა და მოწინააღმდეგის მდგომარეობასა და მოქმედებას, გვიჩვენებს, რომ ყოველი ნაბიჯი ვარშავის გადასარჩენად უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა და ქალაქის განთავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალი დიდი შეტევითი ოპერაციის შედეგად, მის მოსამზადებლად საჭირო იყო დიდი დრო.

მკითხველის წინაშე იშლება სურათი უაღრესად დაძაბული და სისხლისმღვრელი ბრძოლისა რასაც მოწინააღმდეგესთან ეწეოდნენ საბჭოთა ჯარები, რომლებსაც განუწყვეტელი მძიმე ბრძოლებით უკვე გავლილი ჰქონდათ 600 კილომეტრი გზა. პოლიტიკანებმა კი, რომლებიც მოკალათებული იყვნენ ლონდონში ეგრეთწოდებულ პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობაში, ყველაფერი გააკეთეს, რომ მოეხდინათ აჯანყებულთა იზოლაცია ჩვენი ჯარებისაგან.

კ. კ. როკოსოვსკიმ დაგვანახვა, რომ საბჭოთა არმია მრავალმხრივ დახმარებას უწევდა აჯანყებულებს, დესანტებიც კი გადასხა ვისლაზე უშუალოდ ვარშავაში. მაგრამ არმია კრაიოვას სარდლობა, ლონდონიდან მიღებული მითითებით, სრულებით არ ცდილა პირდაპირ დაკავშირებოდა ფრონტის შტაბს, თუმცა საბჭოთა გენერალურმა შტაბმა ამ სარდლობას კოდი აცნობა. უფრო მეტიც, პოლონეთის 1-ლი არმიის დესანტების მოქმედების დასაწყისისათვის მან თავისი რაზმები ვისლის დასავლეთი ნაპირიდან ქალაქის სიღრმეში გადაიყვანა. მათი ადგილი მოწინააღმდეგემ დაიკავა, და, ამრიგად, ოპერაცია ჩაიფუშა.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ კ. კ. როკოსოვსკის მოგონებანი წარმოადგენენ თავისებურ ჰიმნს საბჭოთა მეომრის, ჯარისკაცისა და მეთაურისადმი. ფრონტის სარდალს თითქმის არ უხდება იერიშზე მიდიოდეს მებრძოლის გვერდით, მაგრამ მთელი მისი განგარიშებანი და ვარაუდები გარდუვალად უკავშირდება მეომრის მორალურ სულისკვეთებას, მის მამაცობასა და საბრძოლო სიმტკიცეს, გაწვრთნილობას, იმისათვის მზადყოფნას, რომ რადაც უნდა დაუჯდეს შეასრულოს ამოცანა. და წიგნის ავტორს არ ავიწყდება კეთილი სიტყვით მოიხსენიოს ჯარისკაცი, მეთაური, მათი აღმზრდელი პარტია და სამშობლო. იგი ლაპარაკობს პარტიის ბევრ წარგზავნილზე ჯარებში, პოლიტმუშაკებზე, რომლებიც მეომრებს უნერგავდნენ სოციალისტური სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი ღრმა ერთგულების სულისკვეთებას, პოლიტიკურად უწყობდნენ ხელს ოპერაციების მომზადებასა და ჩატარებას. „დიდება თქვენ, შესანიშნავო საბჭოთა ადამიანებო! — წერს დასასრულ წიგნში კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე. — მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ერთად ვიყავი მთელი ამ წლების განმავლობაში. და თუ რაიმეს გაკეთება შევძელი, ამას თქვენ უნდა გიმადლოდეთ“.

ავტორს არც ზურგის მშრომელთა დაუღალავი საქმიანობა ავიწყდება. მკაფიოდ ახასიათებს რა მათ, იგი გვიჩვენებს, თუ რა ფასდაუდებელ მუშაობას ეწეოდნენ ისინი, რათა მოქმედი არმია უზრუნველეყოთ ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო, და კერძოდ, განიხილავს ზურგის ორგანოების საქმიანობას ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების დროს.

ვერც კი ჩამოვთვლით ყოველივე იმ საინტერესოსა და საჭიროს, რაზეც წერს კ. კ. როკოსოვსკი. მისი ჭკვიანური, საბრძოლო, ღრმად პარტიული წიგნი უნდა წაიკითხოს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ისტორია.

წიგნში უხვად არის მოყვანილი საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა მხედრული გმირობისა და საბრძოლო ოსტატობის, მორალური და ფიზიკური სიმტკიცის, შეუდრეკლობისა და ნამდვილი ადამიანური მაგალითები. გმირობანი, რომლებიც მათ სამშობლოსათვის ჩაიდინეს, სამართლიანად უჭირავს უაღრესად ღირსეული ადგილი ჩვენი ხალხის ინტელექტუალურ საგანძურში. ვფიქრობ, რომ მათს ნათელ ხსოვნას მზრუნველად უნდა ვინახავდეთ, ღირსეულად ავსახავდეთ მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფართოდ ვიყენებდეთ ყველა მისაწვდომი წესითა და გზით ახალგაზრდა თაობის იდეალების გასამდიდრებლად.

(გაზ. „კრასნაია ზვეზდა“,
8 დეკემბერი)

---

[1] საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი. „ჯარისკაცის ვალი“. სამხედრო გამომცემლობა, მ., 1968. გვ. 380, ფასი 91 კაპ.

საერთაშორისო ცხოვრება

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მტკიცე გარანტია

12 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთ დახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 25 წლისთავს. მეოთხედი საუკუნეა ეს ხელშეკრულება განსაზღვრავს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ძმური ურთიერთობის განვითარებას, დიდ როლს ასრულებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში.

ეს ხელშეკრულება დაიდო ძნელ დროს. ჩეხოსლოვაკიელი პატრიოტები თავდადებით და გმირულად იბრძოდნენ ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ. დარწმუნებული იყვნენ, რომ ფაშიზმისაგან მათ იხსნიდა საბჭოთა კავშირი, რომლის არმია ვოლგაზე ჰიტლერელთა ურდოების განადგურების შემდეგ შეტევაზე გადავიდა.

ხელშეკრულებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ნამდვილად მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. იგი ითვალისწინებდა ყოველნაირ ურთიერთდახმარებას ომში ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ და ორი ქვეყნის ერთობლივ მოქმედებას ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი უზრუნველყოფდა ორმხრივი ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას ომის შემდეგ ურთიერთდახმარებისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპზე.

„მოსკოვის 1943 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულება, — ხაზგასმით აღნიშნავდა კ. გოტვალდი, — მტკიცე, ურღვევ საფუძველს უყრის ჩვენს მომავალ ეროვნულ და სახელმწიფო ცხოვრებას. იგი ჩვენს ხალხებს ათავისუფლებს უმძიმესი ტვირთისაგან, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწვათ, — ათავისუფლებს შიშისაგან არსებობის გამო... ჰიტლერის ტირანიის დამხობის შემდეგ, ჩვენი სამშობლოდან უცხოელ დამპყრობთა განდევნის შემდეგ, ჩვენი რესპუბლიკის განთავისუფლების შემდეგ ეს ხელშეკრულება უზრუნველყოფს ჩვენს სრულ უშიშროებას გარედან, ხელ-ფეხს გაგვიხსნის იმისათვის, რომ შევძლოთ თავი მოვუყაროთ მთელ ძალებს ახალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაზე თავისუფალ და დამოუკიდებელ ჩეხოსლოვაკიაში“.

ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა კავშირმა სამხედრო და მატერიალური დახმარება გაუწია ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას. საბჭოთა არმიამ თავისუფლება მოუტანა ჩეხოსლოვაკიელ მშრომელებს. ორი ქვეყნის ხელშეკრულების საფუძველზე ვითარდება ყოველმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ტექნიკური ხელშეწყობით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში აშენდა მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმოები, ისეთები, როგორიც არის აღმოსავლეთ სლოვაკეთის მეტალურგიული კომბინატი, ბრატისლავის „სლოვნაფტის“ ქარხნები, ქალაქ გუმენის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, ქალაქ გრონის ჟიარის ალუმინის ქარხანა. ჩვენი ქვეყანა დახმარებას უწევს ჩეხოსლოვაკიას ატომური ენერგეტიკის განვითარებაში. ჩეხოსლოვაკია სსრ კავშირს აწვდის მანქანებს, მოწყობილობასა და სხვა პროდუქციას.

შესანიშნავია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შედეგები. ორი სოციალისტური სახელმწიფო ერთმანეთს უცვლის სამეცნიერო-ტექნიკურ დოკუმენტაციას, უზიარებს გამოცდილებას, უცვლის სპეციალისტებს, ეხმარებიან ერთმანეთს კადრების მომზადებაში. 100 საბჭოთა და 110 ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ერთად წყვეტს ბევრ სამეცნიერო პრობლემას.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ფართო სავაჭრო, ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა დიდ სარგებლობას აძლევს ორივე სახელმწიფოს. ამასთან მას დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ხელშეკრულება, ერთიანი მიზნები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

თავისი სამოკავშირეო და ინტერნაციონალური მოვალეობების ერთგულმა საბჭოთა კავშირმა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ჩეხოსლოვაკიელ მშრომელებს დახმარება გაუწია მიმდინარე წლის ზაფხულში, როცა საფრთხე შეექმნა სოციალისტურ წყობილებას ჩეხოსლოვაკიაში, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა უშიშროებას, მშვიდობას ევროპაში.

ჩეხოსლოვაკიელ ხალხს თავისი შემდგომი წინსვლის პერსპექტივად მიაჩნია სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცება და განვითარება, ურთიერთობის განმტკიცება სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა „კვლავაც განავითარებს ყოველმხრივ თანამშრომლობას და მეგობრობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან“.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება კიდევ დიდხანს იქნება განმსაზღვრელი დოკუმენტი ორი ქვეყნის ურთიერთობაში. 1963 წელს ეს ხელშეკრულება გაგრძელდა შემდგომი 20 წლისათვის. რადგან ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა მისი მნიშვნელობა.

ტ. მარტინოვა,
საკდესის პრაღელი კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: პრაღის ხედი.
ფოტო ი. სომოვისა.
(ახალი ამბების სააგენტო).

საპასუხო დარტყმები

ჰანოი, 11 დეკემბერი, (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები კვლავ აყენებენ საპასუხო დარტყმებს ამერიკის ჯარებსა და საიგონის რეჟიმის ჯარებს.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს სააგენტო „განთავისუფლებას“ და იუწყება, რომ 5 დეკემბერს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე ნომერ 4 სტრატეგიული გზის რაიონში (მიტოს პროვინცია), რის შედეგად დახოცილია მტრის 40 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაიწვა 4 ყაზარმა. მოწინააღმდეგეს შეუტიეს აგრეთვე კუანგჩის პროვინციის მთელ რიგ რაიონებში, რის გამოც ორი დღის ბრძოლების დროს — 5 და 6 დეკემბერს — ამ პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში განადგურებულია 30-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და 8 სამხედრო სატვირთო მანქანა. 7 და 8 დეკემბერს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა 333 და 425 მაღლობთა რაიონში გაბედულ საბრძოლო ოპერაციების შედეგად მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკის არმიის ასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

კლიფორდის განცხადება

ვაშინგტონი, 10 დეკემბერი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრმა კლარკ კლიფორდმა დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს გეგმაში არა აქვს ამჟამად შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები სამხრეთ ვიეტნამში.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახლა იქ 545 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცია.

გადანერგვის ოპერაცია

თეირანი, 11 დეკემბერი. (საკდესი). თეირანის ერთ-ერთ კლინიკაში წარმატებით შეასრულეს თვალის რქოვანის გადანერგვის ოპერაცია. გადანერგვა გაუკეთეს ახალგაზრდა ირანელ ტექნიკოსს შეიბანის. ჭაბუკმა, რომელსაც მნიშვნელოვნად ჰქონდა დაკარგული მხედველობა, კვლავ აღიდგინა იგი. ამგვარი ოპერაცია პირველად გაკეთდა ირანში.

ტრაგედია შახტში

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ჩამონგრევის შედეგად, რომელიც ასნალკოლიარის ერთ-ერთ შახტში მოხდა სევილიის მახლობლად (ესპანეთი), მიწისქვეშ მოჰყვა ორმოცდაათი მეშახტე.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის რეკომენდაციის შესაბამისად უშიშროების საბჭომ გუშინ მიიღო გადაწყვეტილება კიდევ ექვსი თვით — 1969 წლის 15 ივნისამდე დატოვოს კვიპროსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ძალები.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში საბჭო აღნიშნავს, რომ „ახლანდელ ვითარებაში“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების ყოფნა კვიპროსში „აუცილებელია კუნძულზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის“, და მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს „იმოქმედონ მაქსიმალური თავშეკავებით“.

საბჭოთა კავშირის პოზიცია კვიპროსის საკითხში არაერთხელ ყოფილა გაშუქებული საბჭოთა მთავრობის განცხადებებში, აღნიშნა თავის გამოსვლაში უშიშროების საბჭოში სსრ კავშირის წარმომადგენელმა ლ. ი. მენდელევიჩმა.

საბჭოთა კავშირი იმ აზრის იყო და არის, რომ კვიპროსის საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს და კიდევაც უნდა მოწესრიგდეს მშვიდობიანი საშუალებებით, კვიპროსელი ხალხის ინტერესებისათვის, მისი შემადგენელი ორივე ეროვნული თემის ინტერესებისათვის, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონში დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კვიპროსელთა ბრძოლას კვიპროსის რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობისათვის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის. კვიპროსის რესპუბლიკისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სრულუფლებიანი სახელმწიფოა და სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობისა და მშვიდობის პოლიტიკას ახორციელებს საერთაშორისო ასპარეზზე. კვიპროსის რესპუბლიკის საშინაო საკითხების გადაჭრა თვით კვიპროსელთა საქმეა.

ოკუპანტთა დანაშაული

კაირო, 11 დეკემბერი. (საკდესი). ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი, რომლებიც ამაოდ ცდილობენ ჩაახშონ არაბთა წინააღმდეგობის მოძრაობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დანაშაულს ჩადიან ქალების, მოხუცებისა და ბავშვების წინააღმდეგ, ტერორით აშინებენ იორდანის დასავლეთ ნაპირის მოსახლეობას და საპყრობილეებში ამწყვდევენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლებს. ეს აღნიშნულია აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის განცხადებაში, რომელიც აქ გაავრცელეს იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნო, ხაზგასმულია განცხადებაში, მკაცრად გმობს ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალთა ბარბაროსულ რეპრესიებს, რომლებიც შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან, მოუწოდებს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ადამიანს, აგრეთვე ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გადაჭრით დაგმონ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალთა დანაშაულნი არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ და მოითხოვს ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია მოითხოვს აგრეთვე ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად.

ჩინეთის ამბები

უცხოეთის პრესა იუწყება, რომ პროვინციულ „რევკომებს“ დაურიგეს პარტიის ახალი წესდების პროექტი, რომელიც მიიღო ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეგრეთწოდებულმა 12-ე პლენუმმა და „მოიწონა პირადად მაო ძე-დუნმა“.

წესდების პროექტის ნაწყვეტები მოყვანილი იყო ფურცლებში, რომლებსაც პეკინში ავრცელებდნენ. ახლა საზღვარგარეთ ცნობილი გახდა ამ დოკუმენტის სრული ტექსტიც. ამ პროექტის შედარება არსებულ წესდებასთან, რომელიც 1956 წელს მიიღო ჩინეთის კომპარტიის 8-ე ყრილობამ, ცხადყოფს, რომ მაო ძე-დუნის ჯგუფი განუდგა მარქსიზმ-ლენინიზმს, სავსებით უარყო ჩინეთის კომპარტიის 8-ე ყრილობის გადაწყვეტილებანი.

წესდების შესავალ თავში ჩამოყალიბებული იყო პარტიის საქმიანობის პროგრამული მიმართულებანი ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში, ძირითადი ამოცანები ჩინეთში სოციალისტური გარდაქმნებისა და ინდუსტრიალიზაციის დარგში.

ჩინეთის კომპარტიის წესდების შესავალ თავს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ერთგვარად პარტიის პროგრამის მაგივრობას სწევდა (ჩინეთის კომპარტიას არა აქვს ცალკე დეტალურად დამუშავებული პროგრამა). მაო ძე-დუნმა და მისმა დამქაშებმა წესდების პროგრამულ დებულებებს გადაუხვიეს ჯერ კიდევ 1958 წელს, როცა გამოაცხადეს, 15 წლის შემდეგ ჩინეთში კომუნიზმი იქნებაო. და შეეცადნენ ეკონომიური ავანტიურების გზით გადაეხტომოდნენ სოციალისტურ ეტაპს.

ახალი წესდების პროექტში გამოტოვებულია მთელი თავი სოციალიზმის მშენებლობის შესახებ და ნაცვლად ნათქვამია ზოგადი ფრაზა, რომ „სოციალიზმი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პროცესია“. პარტიის წინაშე არ არის დასახული რაიმე ამოცანები ეკონომიკის დარგში. დოკუმენტში საერთოდ არ არის არც ერთი სიტყვა ეკონომიურ პრობლემებზე. სამაგიეროდ წესდების პროექტის შესავალ თავში შეტანილია მაო ძე-დუნის ქება-დიდება და მისი გამონათქვამები. აქ შეტანილია აგრეთვე პუნქტი „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“. ამ პუნქტით ლინ ბიაო გამოცხადებულია მაო ძე-დუნის „უახლოეს თანამებრძოლად და მემკვიდრედ“.

წესდების პროექტი მოწმობს, რომ მაოისტებმა უარყვეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. 1956 წლის წესდებაში ჩაწერილია, რომ ჩინეთის კომპარტია „ყოველ ღონეს ხმარობს, რათა განავითაროს და განამტკიცოს მეგობრობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს“. წესდების პროექტში დადასტურებულია მაოს ახლანდელი ანტისაბჭოთა კურსი. წესდების პროგრამული ნაწილიდან ამოღებულია პუნქტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილების შესწავლა და გამოყენება.

უფრო მეტიც, მაოისტებმა უარი თქვეს მსოფლიოს ყველა კომუნისტის ლოზუნგზე „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მის ნაცვლად წესდების პროექტი მოუწოდებს „ჭეშმარიტ მარქსისტებთან“ ერთობისათვის. ვინაიდან კარგად არის ცნობილი, ვინ მიაჩნიათ მაო ძე-დუნსა და მის ხელქვეითებს „ჭეშმარიტ“ და „არაჭეშმარიტ“ მარქსისტებად, სინამდვილეში ეს ლოზუნგი არის მაოისტური ყაიდის გარეწართა გაერთიანებისა და კომუნისტურ მოძრაობაში გათიშვის გაღრმავებისათვის მოწოდება.

წესდებაში ნათქვამი იყო, რომ შეუწყნარებელია „თვითნებობა პარტიის მიმართ და ისეთი მოქმედება, რომელიც პიროვნებას პარტიის კოლექტივზე მაღლა აყენებს“. მაგრამ ვინაიდან ეს დებულება ეწინააღმდეგება მაო ძე-დუნის კულტს, იგი გამოტოვეს. წესდებიდან ამოღებულია ის პუნქტიც, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ. შოვინიზმი უკვე დიდი ხანია გახდა მაოისტური „იდეოლოგიის“ საფუძველი.

წესდების პროექტში შეზღუდულია პარტიის წევრის უფლებები. კერძოდ ნახსენები არ არის უფლება აირჩიოს და არჩეული იყოს პარტიულ ორგანოებში, უფლება დაესწროს პირადი საქმის გარჩევას. არაფერი არ არის ნათქვამი პარტიულ ორგანოთა არჩევითობისა და ანგარიშგების შესახებ.

წესდების პროექტი აუქმებს საკანდიდატო სტაჟს და ახლად მიღებულ წევრებს აძლევს პარტიაში მიღების შესახებ რეკომენდაციის მიცემის უფლებას, რაც ფართოდ უხსნის გზას პარტიაში მერყევ, შემთხვევით ელემენტებს. ამასთან გაადვილებულია პარტიიდან არასასურველთა გარიცხვა. წესდების პროექტში ნათქვამია, რომ პარტიიდან სამუდამოდ უნდა გაირიცხოს ყველა, „ვინც კაპიტალისტურ გზას ადგას“. როგორც ცნობილია, ამ კატეგორიას თვითნებურად აკუთვნებენ მთელ პარტიულ კადრებს, რომლებსაც ეჭვი ეპარებათ მაო ძე-დუნის უცოდველობაში.

ახალი წესდების პროექტში მაოისტები ახსენებენ მარქსიზმ-ლენინიზმს, მაგრამ იქვე ხაზს უსვამენ, რომ სწორედ „მაოს იდეებია ჩვენი ეპოქის მარქსიზმ-ლენინიზმი“. ისევე როგორც სხვა დოკუმენტებში, მაო ძე-დუნის ჯგუფი მარქსისტულ ტერმინოლოგიას იყენებს მხოლოდ იმისათვის, რომ დაფაროს მარქსისა და ლენინის დიადი საქმისადმი ღალატი.

(10 დეკემბერი, საკდესი).

ჩვენს არე-მარეში

სპორტული ფილმის დღესასწაული

15 დეკემბერს თბილისში გაიხსნება სპორტული ფილმების II სრულიად საკავშირო ფესტივალი. ამ დღეებში გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც დასახეს ფესტივალის მოწყობის კონკრეტული ღონისძიებანი.

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა სპორტული ფილმების მე-2 სრულიად საკავშირო ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვ. მ. სირაძეს ეამბნა მომავალი ფესტივალის შესახებ.

სპორტისა და სპორტული კინოს მოყვარულთათვის, თქვა ვ. მ. სირაძემ, მზადდება დიდი და საინტერესო დღესასწაული. ის ფაქტი, რომ ფესტივალის მოწყობის ადგილად არჩეულია ქალაქი თბილისი, შემთხვევითი არ არის. საქართველო დიდი სპორტული და კინემატოგრაფიული ტრადიციების რესპუბლიკაა. სპორტი ჩვენში უყვარს ყველას, მთელი სიცოცხლის მანძილზე — შეიძლება ითქვას ბავშვობიდან ღრმა მოხუცებულობამდე, არა მარტო თვითონ მისდევენ სპორტს, არამედ მხურვალე, მგზნებარე გულშემატკივარნი არიან, როცა თვალს ადევნებენ სახელოვან ოსტატთა სპორტულ ორთაბრძოლებს.

და ამიტომ გადაჭარბებულ არ იქნება ვთქვათ, რომ მომავალი ფესტივალისადმი და საერთოდ სპორტული კინოსადმი ინტერესი ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ძალიან დიდია.

ფესტივალი იქნება არა მარტო ლამაზი სანახაობა სპორტის მოყვარულთათვის, არამედ აგრეთვე შემოქმედებით კოლექტივებთან, სპორტული ფილმების შემქმნელებთან, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სპორტსმენებთან საინტერესო შეხვედრების ადგილიც. იგი ხელს შეუწყობს სპორტული ფილმების გამოშვების შემდგომ გაფართოებას, ახალი შემოქმედებითი ძალების ჩაბმას მათ შექმნაში, სპორტული ფილმების ხარისხის გაუმჯობესებისათვის შემოქმედებითი შეჯიბრების განვითარებას.

იგი გახდება მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის მძლავრი საშუალება.

როგორც ცნობილია, პირველი ამგვარი ფესტივალი გაიმართა 1966 წლის დეკემბერში მოსკოვში. ამ ფესტივალზე უჩვენეს სხვადასხვა წლებში შექმნილი 47 ფილმი. მეორე ფესტივალზე თბილისში ნაჩვენები იქნება მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გადაღებული 55 სპორტული ლენტი. როგორც ხედავთ, ფილმები გაცილებით მეტია, ვიდრე წინა დათვალიერებაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი კინორეჟისორები უფრო აქტიურად მიმართავენ სპორტულ თემატიკას.

მომავალ დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის 31 კინოსტუდია. საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოტანილი იქნება 4 მხატვრული ფილმი — „ახალი“, „დარტყმა, კიდევ დარტყმა“, „ვერტიკალი“ და მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ცაში მხოლოდ ქალიშვილები არიან“. ნაჩვენები იქნება აგრეთვე მულტიპლიკაციური, მეცნიერულ-პოპულარული, დოკუმენტური, სასწავლო ფილმები, კინოჟურნალები.

კონკურსში მონაწილე ფილმებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც უკვე აჩვენეს საბჭოთა კავშირის ეკრანებზე და შეუყვარდათ მაყურებლებს. ასეთი ფილმებია „სტარტების ფურცლები“, „მოძრაობათა საკვირველი სამყარო“, მეცნიერულ-პოპულარული ფილმები — „ნა-ტა-ლი“ და „მოჭადრაკენი“, სასწავლო ფილმი „მწვრთნელის თვალით“, დოკუმენტური „ძახილი“ და სხვები.

ფილმების მარტოოდენ ჩამოთვლა, რომლებსაც ფესტივალზე უჩვენებენ, ცხადყოფს, რაოდენ გაფართოვდა სპორტული ფილმების თემატიკა. კიდევ უფრო სასიხარულოა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის კინოსტუდიების 1969 წლის გეგმებში სპორტულ ფილმებს სოლიდური ადგილი უკავიათ. იმედი გვაქვს, რომ მესამე ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება უფრო ფართო წრე სპორტული ფილმებისა და ეს ფესტივალი უფრო საინტერესო იქნება.

საუბრის დასასრულს ვ. მ. სირაძემ ყველას უსურვა წარმატებით მონაწილეობა ფესტივალში და დიდი შემოქმედებითი მიღწევები ახალი საინტერესო და მკაფიო, ფორმითა და შინაარსით მრავალფეროვანი სპორტული ფილმების შექმნაში.

საიმედო „ყულაბები“

ყვარელი. (საქ. კორ.). უკანასკნელ წლებში კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი თითქმის ერთიორად გაიზარდა და დღის წესრიგში დადგა „საიმედო ყულაბების“ — შრომითი შემნახველი სალაროების ქსელის გაზრდის აუცილებლობა. ამ მიზნით სოფლებში შილდასა და ახალსოფელში გაიხსნა მეორე თანრიგის შრომითი შემნახველი სალაროები, რომლებიც 17-17 სახის საფინანსო ოპერაციებს აწარმოებენ.

დიდი მოგება

ტუშურების საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. მამულაშვილმა თიანეთის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ოლიმპიური სპორტული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთი სერია 06074 № 091, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

ლ. ბიჩინაშვილი.

ეს სიახლეა

თქვენთვის, მეგობრებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება ადამიანთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად. უშვებენ ფეხსაცმლის ახალ მოდელებს, ქსოვილებს, ავეჯს, საოჯახო საგნებს. უკანასკნელ ხანს დაიწყო ახალი მაცივრების, ველოსიპედების, მოტოციკლების გამოშვება. მალე ქალაქების ქუჩებში ახალი მარკების ავტომობილები გამოჩნდებიან.

დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ოთხ ფოტოსურათს, რომლებზეც ნაჩვენებია სხვადასხვა ახალი საქონელი, რის გამოშვებაც ჩვენი ქვეყნის საწარმოებში დაიწყო.

პირველ სურათზეა მინსკის მაცივრების ქარხნის სიახლე — პროდუქტების შესანახი საყინულე „მ-60“. მისი კამერის ტევადობა 60 ლიტრია. სერიული გამოშვება 1969 წლის დამდეგს დაიწყება.

მეორე სურათზეა ლვოვის მოტოქარხნის მოპედი „მპ-046“, სწრაფი, ადვილად სამართავი და ეკონომიური მანქანა, რომელიც განკუთვნილია ყოველდღიური მოგზაურობისათვის, გასეირნებისა და ხანგრძლივი მგზავრობისათვის. მისი მაქსიმალური სიჩქარეა 50 კილომეტრი საათში. მოპედის თვლები ერთმანეთის შემცვლელი და ადვილად მოსახსნელია. სათბობის ავზის ტევადობაა 6,5 ლიტრი.

მესამე სურათზე ვხედავთ მცირეგაბარიტიან რადიომიმღებ „ვეფ-12“-ს, რომელიც ბატარიებიდან იკვებება. მიმღები უზრუნველყოფს მიღებას გრძელი, საშუალო და მოკლე ტალღების დიაპაზონებში მომუშავე რადიოსადგურებიდან როგორც სალაშქრო, ისე სტაციონარულ პირობებში. იგი ეკონომიურია, მაღალი ელექტრული და აკუსტიკური პარამეტრები და საიმედო კონსტრუქცია აქვს. კორპუსი დამზადებულია პლასტმასისა და ლითონის დეკორატიული ელემენტებისაგან. ახალ წელს გამოშვებული იქნება შვიდასი ათასზე მეტი ასეთი მიმღები.

მოსკოვის საოჯახო მაცივრების ქარხანაში ათვისებულია გამოშვება ახალი აგრეგატის — „სევერ-6“-ისა, რომელიც გაზით მუშაობს. იგი თანამედროვე გარეგნობისა და მცირე ზომისაა. მისი სიმაღლეა ერთი მეტრი, ხოლო სიგანე 56 სანტიმეტრი. სასარგებლო მოცულობა ასი ლიტრია. კარის შიდა კედელზე სპეციალური ღრმულები გათვალისწინებულია დაფასოებული პროდუქტების, სხვადასხვა სასმელებისა და რძის შესანახად. მაცივარი 65 კილოგრამს იწონის. მეოთხე ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ „სევერ-6“ მარკის ახალი მაცივრების მორიგ პარტიას.

(საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს ფოტოქრონიკის სურათები).

ინფარქტი და მისი მკურნალობა

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას შეემატა ახალი ორიგინალური მონოგრაფიული შრომა, პროფესორ ნ. ყიფშიძის და პროფესორ ი. ჭუმბურიძის წიგნი „მიოკარდიუმის ინფარქტი და მისი მკურნალობა“.

წიგნი ისეთ საკითხს შეეხება, რომელიც ამჟამად სამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. იგი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ყოველდღიური პრაქტიკული ზრუნვის ცენტრშია. ეს დაავადება დიდ ინტერესს და ხშირად შეშფოთებასაც იწვევს ფართო საზოგადოებაში. ასეთი მონოგრაფია პირველად გამოდის ქართულ ენაზე. საკითხის პრაქტიკული დაყენებით იგი განსხვავდება საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ გამოცემული სხვა მსგავსი ნაშრომებისაგან.

მონოგრაფიაში განზოგადებულია ავტორების მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება გულის კუნთის ინფარქტის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ მიერ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის და ინფარქტის საწინააღმდეგო ცენტრის თანამშრომელთა კოლექტივთან ერთად ჩატარებული მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევის შედეგები. საკითხი განხილულია საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის კარდიოლოგთა მიღწევების ჩვენებით, მაღალ სამეცნიერო დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში მოკლედ, მაგრამ თვალსაჩინოდ არის გაშუქებული გულის კუნთის ინფარქტის პრობლემის ყველა ძირითადი საკითხი.

მთელი მასალა ისეა გადმოცემული, რომ წიგნით ადვილად, ნაყოფიერად ისარგებლებს პრაქტიკოსი ექიმი. გათვალისწინებულია გულის კუნთის ინფარქტიანი ავადმყოფისათვის ყველა სადიაგნოზო საშუალების და სამკურნალო ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარება სხვადასხვა ეტაპზე:

პირველი ქართული მონოგრაფია მიოკარდიუმის ინფარქტზე

◆

პირველი დახმარება ადგილზე, ტრანსპორტირებისათვის მომზადება, გადაყვანის ორგანიზაცია, მკურნალობა საავადმყოფოში და ბინაზე გაწერის შემდეგ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სასწრაფო დახმარების სადგურის სპეციალური კარდიოლოგიური ბრიგადების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

წიგნში მართებულად არის დაყენებული და გაშუქებული საკითხი იმის შესახებ, რომ გულის კუნთის ინფარქტით ავადმყოფი, სათანადო გადაუდებელი სამკურნალო ღონისძიებების ადგილზე ჩატარების შემდეგ, როგორც წესი, უნდა იყოს გადაყვანილი საავადმყოფოში, რადგან მხოლოდ იქ არის შესაძლებელი ყველა თანამედროვე რთული გამოკვლევის ჩატარება, მუდმივი მეთვალყურეობა დაავადების მიმდინარეობაზე და საჭიროებისას სასწრაფო ჩარევა მძიმე გართულებების სამკურნალოდ.

დაწვრილებით არის აღწერილი თანამედროვე უახლესი სადიაგნოზო აპარატურა, ბიოქიმიური კვლევის მეთოდები, მათი გამოყენება კონკრეტულ პირობებში და მიღებული შედეგების შეფასება. ამასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა სამკურნალო ღონისძიების შერჩევა დაავადების ინდივიდუალური მიმდინარეობის თავისებურებასთან შესაბამისად. მონოგრაფიაში საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები სხვადასხვა წამალთა ნარევების ვენაში შეშხაპუნების შესახებ. ეს ინფარქტის მკურნალობის ერთ-ერთი საინტერესო და საკვანძო საკითხია, რადგან ისეთი ნივთიერებების, როგორიც არის ნორა დრენალინი, პრედნიზოლონი, სტროფანტინი, ანტიკოაგულანტები, ნოვოკაინამიდი, ელექტროლიტები, ვენაში წვეთობრივი მეთოდით შეყვანის შემოღებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სიკვდილიანობის შემცირებაში, მონოგრაფიაში მოცემულია ამ ნივთიერებათა ვენაში შეყვანის ჩვენებები ავადმყოფის მდგომარეობის და ამა თუ იმ დარღვევის შესაბამისად. აქვეა ავტორების მიერ შედგენილი და გამოცდილი სხვადასხვაგვარი ნარევები, რაც აფართოებს წამლით მკურნალობის შესაძლებლობებს გულის კუნთის ინფარქტის გართულებების: შოკის, კოლაფსის, თრომბოზების, რიტმის დარღვევების, გულის დამბლის თავიდან ასაცილებლად და სამკურნალოდ.

წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი ინფარქტის დროს განვითარებული კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან ადამიანის გამოყვანის წესები. ამავე დროს ასევე ამომწურავად არის გაშუქებული საკითხი სპეციალიზებულ საავადმყოფოს განყოფილებაში თანამედროვე ელექტრონული სამკურნალო მოწყობილობის გამოყენების შესახებ.

წიგნი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. მონოგრაფია ილუსტრირებულია სათანადო ფოტოსურათებით და სქემებით. იგი ხელმისაწვდომია არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

სასურველია, რომ ნ. ყიფშიძის და ი. ჭუმბურიძის ნაშრომი გამოიცეს რუსულ ენაზე, რათა ხელმისაწვდომი გახდეს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და უცხოეთის მედიკოსებისათვის.

ვ. ალადაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ცხრაწყაროზე მდებარეობს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უმძლავრესი დანადგარი, რომელიც განკუთვნილია კოსმოსური გამოსხივების ზემაღალი ენერგიის ელემენტარული ნაწილაკების თვისებათა გამოკვლევისთვის.

სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის გაზომვისა და გადამუშავების ლაბორატორიის უფროსი ტექნიკოსები ე. ჩადრანიანი (მარცხნივ) და ს. პოლიაკოვა ზომავენ ნაწილაკთა კვალს, მიღებულს ვილსონის კამერაში ცხრაწყაროს მაღალმთიან სადგურზე.

ფოტო
ვ. თვალჭრელიძისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

უზრუნველი სიბერე

თელავი, (საქ. კორ.). მარტო წელს თელაველმა პენსიონერებმა პენსიებისა და დახმარების სახით 2,8 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს. საკოლმეურნეო შრომის 4 ათასმა ვეტერანმა პენსიების სახით 800 ათასი მანეთი შეიტანა ოჯახში, ერთიორად გაიზარდა მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე გაცემული დახმარების მოცულობაც.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირებთან ერთად სოცუზრუნველყოფის თელავის რაიონულმა განყოფილებამ უფასო დასვენებისა და სანატორიული მკურნალობის 100-ზე მეტი საგზური გასცა კოლმეურნე პენსიონერებზე.

ბუნების უცნაურობანი

◆

გოლიათი ნიანგი

ბოტსვანელმა (უგანდა) მონადირეებმა ვეებერთელა ნიანგი მოკლეს. მისი სიგრძე 6 მეტრამდე აღწევდა, ხოლო წონა — ერთ ტონას. აფრიკელი მონადირენი ასეთ გიგანტურ ნიანგს მხოლოდ მეორედ ხვდებიან.

სამფეხა ხბო

წითელწყარო. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ არბოშიკში მცხოვრებ ა. დათუკიშვილის ძროხამ სამფეხა ხბო მოიგო. ხბოს არა აქვს წინა მარცხენა ფეხი, ჯანმრთელია, ნორმალურად ვითარდება და იკვებება.

ეს შემთხვევა უკვე მეორეა. ამ რამდენიმე წლის წინათ არბოშიკის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადაში, რომელსაც ა. ბალიაშვილი ხელმძღვანელობს, თხამ სამფეხა თიკანი მოიგო. თიკანი გაიზარდა და საზაფხულო იალაღებზე ცხვართან ერთად ავიდა.

მეხუთე გამარჯვება

მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ალმა-ატის „ლოკომოტივის“ გუნდები. წარმატება არმიელ კალათბურთელებს ხვდათ ანგარიშით 96:80.

„ოქროს მაძიებელთა“ დავა

კიევში ფინიში აქვს საკავშირო ჩემპიონატს ასუჯრედიან შაშში ვაჟთათვის. მორიგ ტურში **განტვარგ-ბელორუსის, შჩეგოლევ-აგაფონოვისა** და **ანდრეიკო-სრეტენსკის** პარტიებში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. **აგაროდნიკოვმა** მოუგო **ფაინბერგს.**

უკანასკნელი ორი ტურის წინ ლიდერები არიან **ანდრეიკო** და **განტვარგი,** რომლებსაც ათნახევარ-ათნახევარი ქულა აქვთ. ათ-ათი ქულა შეაგროვეს **შჩეგოლევმა** და **აგაფონოვმა.**

კიევში დასასრულს უახლოვდება რიგელ **ი. ცინიასა** და ლენინგრადელ **ი. სპასკაიას** მატჩი რუსულ შაშში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ქალთა შორის. მეოთხე პარტიაში მეტოქენი 25-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიშია 2,5:1,5 **ი. ცინიას** სასარგებლოდ.

ტურნე საზღვარგარეთ

თბილისის „დინამოს“ გუნდმა დაამთავრა ტურნე კამბოჯაში. მესამე მატჩი დინამოელებს ჰქონდათ პნომ-პენში კამბოჯის ნაკრებთან და გაიმარჯვეს 4:2. ორი ბურთი გავაშელმა გაიტანა, თითო მეტრეველმა და ნოდიამ.

ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდს, რომელიც ირანში იმყოფება, მეორე შეხვედრა „ტაჯის“ საკლუბო გუნდთან ჰქონდა და მატჩი ფრედ — 1:1 დაამთავრა.

ინდოეთში მეექვსე მატჩი გამართა მინსკის „დინამომ“. ამჯერად დინამოელები შეხვდნენ ქალაქ გაუხატის ნაკრებს და გაიმარჯვეს — 5:1.

მოსკოვის საერთაშორისო

დღეს მოსკოვში დაიწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში. მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. ტურნირი 15 დეკემბრამდე გაგრძელდება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუთხრა ყველა იმ დაწესებულებასა და ორგანიზაციას, მეგობარსა და ამხანაგს, ვინც გულწრფელი სამძიმრით მანუგეშა მძიმე მწუხარების ჟამს — ჩემი მეუღლის გარდაცვალების გამო.

დემნა შენგელაია.

ლიდერთა მატჩი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის უკანასკნელისწინა ტურის მატჩები გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

პირველ მატჩში პაექრობა ჰქონდათ პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს. შეხვედრის შედეგია ფრე 22:22. აუტსაიდერების — უნგრეთისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრაში წარმატება უნგრელებს ხვდათ 30:20.

ამ დღის ცენტრალურ შეხვედრას ლიდერების — სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩი წარმოადგენდა. ბრძოლა შეუპოვარი იყო. პირველი ტაიმი დამთავრდა 7:7. მეორე ნახევარში დაწინაურდა სსრ კავშირის ნაკრები და გაიმარჯვა 19:15.

აი გუნდების სატურნირო მდგომარეობა დღეისათვის.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირის ნაკრები	4	4	0	0	89-67	8
საქართველოს გუნდი	4	3	0	1	82-75	6
პოლონეთის გუნდი	4	2	1	1	83-71	5
გდრ-ის გუნდი	4	1	1	2	84-85	3
უნგრეთის გუნდი	4	1	0	3	85-87	2
ბულგარეთის გუნდი	4	0	0	4	56-94	0

კორჩნოი უტევს

მალიორკის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეცამეტე ტურში ყურადღებას იპყრობდა ლიდერის **ვ. კორჩნოისა** და **პ. ბენკოს** (ამერიკის შეერთებული შტატები) შეხვედრა. ეს პარტია არ დამთავრებულა. მსოფლიოს ჩემპიონმა **ტ. პეტროსიანმა** და ამ ტიტულის პრეტენდენტმა **ბ. სპასკიმ** ყაიმით დაამთავრეს პარტიები ესპანელ **ა. პომართან** და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელ **გ. ლემანთან.**

ტურნირის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრას წარმოადგენდა მეთოთხმეტე ტურის პარტია დანიელ გროსმაისტერ **ბ. ლარსენსა** და **ვ. კორჩნოის** შორის. საბჭოთა გროსმაისტერი აღმავლობით იბრძოდა და გაიმარჯვა. **ტ. პეტროსიანმა** ესპანელ **რ. კალვოსთან** შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

როგორც ვხედავთ, **ვ. კორჩნოი** პოზიციას არ თმობს. იგი 12 ქულით კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში დგას. **ბ. სპასკის** 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, **ტ. პეტროსიანს** — 9,5 ქულა.

კომუნისტი ჭადრაკი

ჩემპიონატმა სტარტი აიღო

10 დეკემბერს რიგაში საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი ქვეყნის გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. შეჯიბრებაზე გამოდიან სასპორტო საზოგადოებათა ნაკრები გუნდები, რომელთა რიგებში არიან მსოფლიოში აღიარებული გროსმაისტერები და საერთაშორისო ოსტატები. მაგალითად „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში არის მსოფლიოს ჩემპიონი **ნ. გაფრინდაშვილი,** რიგის „დაუგავაში“ თამაშობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **მ. ტალი.** ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე **პ. კერესი, ა. სუეტინი** და სხვები.

გუშინ გაიმართა პირველი ტური.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

მეაბრეშუმეობის სასწავლო-საკვლევი ფაკულტეტი აცხადებს კონკურსს ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში შემდეგ თანამდებობებზე:

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე — 3 საშტატო ერთეული; 2. უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე — 3 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ინსტიტუტის რექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დიპლომისა და ატესტატის ნოტარიულად შემოწმებული პირები, სამეცნიერო ნაშრომთა სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

კონკურსის ვადაა 20 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: თბილისი, ტელმანის ქ. № 6, მეაბრეშუმეობის სასწავლო-საკვლევი ფაკულტეტი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

12 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 07.30 — დილის კონცერტი, 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.30 — პოპულარული სიმღერები, 09.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების მიმოხილვა (მოსკოვი), 11.05 — რ. გაბიჩვაძე. კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის, 11.45 — აფხაზური სიმღერები, 12.10 — ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. საუბარი „ლენინის მოძღვრება ახალი ტიპის პარტიის შესახებ“, 12.25 — დ. თორაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ჩრდილოეთის პატარძალი“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 14.00 — „უკრაინელ კომპოზიტორთა მე-5 ყრილობის კონცერტებზე“ (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიონარკვევი „ერთი სოფლის ბავშვები“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — კამერული კონცერტი, 19.00 — ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა — „ქალაქების ურთიერთგადაძახილი“, 19.15 — ე. ჯაბადარი. ქართული რაპსოდია, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“ — „პარტია სოციალიზმის საძირკვლის მშენებლობის ორგანიზატორია“ — 1925-1932 წწ. (მოსკოვი), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ციკლიდან „ლენინის ორდენოსანი მეცნიერები“ — აკადემიკოსი პეტრე ქომეთიანი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — ს. კლდიაშვილი. ინსცენირებული მოთხრობები, 22.30 — პ. ჩაიკოვსკი. „დაფიქრება“. პიესა ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — ვერდი. ნაწყვეტები ოპერა „ბალ-მასკარადიდან“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

12 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის „მხიარული კაცუნები“ — თოჯინების სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.50 — გადაცემათა პროგრამა, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — ბავშვებისათვის ქართული მხატვრული ფილმი „ცეროდენა რაინდები“, 19.10 — გადაცემა „ჩვენი ისტორია“, 19.30 — საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში. საქართველოსა და პოლონეთის ნაკრები გუნდები (შესვენების დროს „ჩვენი სტუმრები“), 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — გადაცემა „ამღერებული მესხეთის მიწა“, 22.00 — მხატვრული ფილმი „დედაკაცების სამეფო“, 23.35 — საერთაშორისო შეჯიბრება ფიგურულ სრიალში. (ვიდეოჩანაწერი).

თეატრები

12 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩიო-ჩიო-სანი (მე-5 აბონ. I წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთვარის მოტაცება (უფროს კლასთა კომბინირებული 28-ე აბონემენტი) **გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული** — შენი ძია მიშა (32-ე აბონ. I წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — საბედისწერო ოპერაცია, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნუ გეჩქარებათ სიცილი (№ 45 აბონ. საღ. 6 ს.).

კინო

12 დეკემბერი

ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, სპორტი, სპარტაკი, ეკრანი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **შემთხვევა ნავსადგურში,** ოქტომბერი, საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა, ბათუმი, ოფიცერთა სახლი — **ციხკარი,** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **სამი ბლენძი,** გორკის სახელობის კულტურის სახლი — **ქალწულის თანავარსკვლავედის ქვეშ,** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **გენერალი რახიმოვი,** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი), ბათუმი — **მალე გაზაფხული მოვა,** 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — **ოქროს საყურე** (I, II სერია),

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 11132

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.